140/2
1970



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 7 · პიონერი · 1970

ეროვნული ბიბლიოთეკა



*

ცელი
კრიალებს ბალახში,
დაჰკრის
ნიავი თბილი...
მინდორს,
ფარდაგად გადაშლილს,
თენთავს
სურნელი თივის.
მერე...
ზამთარში ნახირი
შეახრამუნებს თივას
და მწყემსი,
ჯაფით დაღლილი,
მადლობას ეტყვის
მთიბავს.

**ნოდარ ნარსია**

ს ა თ ი ბ შ ი

მხატვარი
ოთარ ჩხარტიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

7 · ი ვ ლ ი ს ი · 1970

გ ა მ ო ც ე მ ი ს 44-ე წ ე ლ ი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



ეროვნული ბიბლიოთეკა

11.30/

ს. შამფრიანი

ფოტო
ა. ჩიგოგიძისა

# ჭოპორტელები

ჭოპორტის საშუალო სკოლის ეზოდან რომ გადმოიხედავ, უნებლიეთ გაიმეორებ უკვდავი პოეტის აღტაცებულ შეძახილს:

> ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
> მობიბინენო, შვებით . მომზირნო,
> ქართველსა გულმან როგორ
> გაუძლოს,
> ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
> რომ თქვენს ბუჩქებში არა
> ჩამოხდეს,
> რაც უნდა გზასა ეშურებოდეს...

რა საოცარი მხატვრული სიზუსტით არის ნათქვამი!

ჭოპორტი დუშეთის რაიონის ერთ-ერთი თვალწარმტაცი სოფელია, არაგვის მარცხენა ნაპირას დამკვიდრებული, ხეხილის ტევრში ჩაძირული, ბაღ-ვენახებით დამშვენებული, თავს რომ ხუჭუჭა ტყით შემოსილი მაღალი გორა დასცქერის...

ცხადია, ეს სილამაზე მხოლოდ ბუნების წყალობა როდია, — იგი მშრომელი კაცის შემოქმედების ნაყოფია, მისი შესანიშნავი ნამოღვაწარია. ვერ წარმოიდგენ ამ სოფლის მკვიდრს სიზარმაცის სენით გულგამოჭმულს, მცონარობით დაღონდლოებულს, მით უმეტეს — ახალგაზრდას.

აკი, ეს ასეც გახლავთ!

ორი ათეული წელი არც კია, ჭოპორტის საშუალო სკოლა რომ არსებობს. მაგრამ ამ ხნის მანძილზე არაერთი კარგი შვილი აღუზარდა სოფელს, ჩვენს რესპუბლიკას. ნიკოლოზ წიკლაური, ელენე ტურიაშვილი, ტარიელ იოსებაძე, შაქრო გოგუარი, ნუნუ, ვასილ, აპოლონ, ჯუანშერ კოზმანაშვილები და კიდევ ბევრი სხვაც — ამჟამად სახალხო შრომის სხვადასხვა ფრონტზე მებრძოლნი, სწორედ ამ სკოლას ემადლიერებიან, რომელმაც მათ ცხოვრების დიდ გზაზე შრომის სიყვარული, აღგილის დედის ტრფიალი გაატანა ულეველ საგზლად. ამიტომაც არ წყვეტენ კავშირს ისინი აღმზრდელ სკოლასთან, ხშირად აკითხავენ თავიანთ უმცროს მეგობრებს — ამავე სკოლის კედლებში ახლა რომ იბუმბლავენ ფრთებს.

ეს უკანასკნელნიც წინამორბედთა კვალზე მიდიან.

სულიკო კერვალიძეს, გელა ვაჟიკაშვილს, ლია და გია ზეიკიძეებს, ნანა საძაგლიშვილს, მანანა წიკლაურს, არჩილ ჩანადირს და მათს ტოლ-



რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჭოპორტელი მოსწავლეები სპორტის დიდი მოყვარულები არიან. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი მათგანი მომავალში ცნობილი მოჭიდავე ან მძლეოსანი გახდეს.

ამხანაგებს „გაჭირვების ტალ-კვესს“ ეძახიან ჭოპორტის არაგვისპირა მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები, სოფსაბჭოს წევრები, სოფლის მესვეურები... საბჭოთა მეურნეობას რთველი დაუდგება თუ არა, ისინი უფროსების მხარდამხარ შეუდგებიან ხოლმე ყურძნის კრეფას და მის მიზიდვას დანიშნულებისამებრ. წლეულს პიონერებმა მეურნეობის კარგა მოზრდილი ახალი ვენახი გაწმინდეს ქვა-ღორღისაგან; გაასუფთავეს და გაალამაზეს სოფლის ძმათა სასაფლაო. ჭირნახულის აღებასა და დაბინავებაში, საზოგადოებრივი პირუტყვის ძოვლა-პატრონობაშიც ტოლს არ უდებენ დიდებს.

მათვე დიდი სიყვარულითა და მონდომებით შეისწავლეს ჭოპორტის წარსული, აწმყო, და მშობლიური სოფლის მშვენიერი მატიანე შექმნეს.

სკოლის საკმაოდ ვრცელ ხეხილის ბაღსა და ბოსტანს, სიმინდის „ყანას“ მზრუნველი ხელი ატყვია. მოსწავლეები ცდილობენ, მეცნიერული ცოდნის საფუძველზე გააშენონ და გაახარონ ესა თუ ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა თავიანთი სკოლის ნაკვეთზე. ნორჩ ქიმიკოსთა წრის წევრები, მასწავლებლის — ვენერა კვერცხიშვილის ხელმძღვანელობით, ნაკვეთის ნიადაგის ანალიზს აკეთებენ. ინდიკატორებით ამოწმებენ ნიადაგი მჟავე რეაქციისა თუ ტუტე რეაქციისა და ამის მიხედვით ასკვნიან, რა მინერალური სასუქით გაანოყიერონ მიწა. ბიოლოგიის მოყვარულები ნაირ-ნაირ ცდებს ატარებენ ბოსტნეულის მოსავლიანობის გასადიდებლად.

ნორჩ ნატურალისტთა კაბინეტში რომ მოხვდეთ, თავი ბუნების წიაღში გეგონებათ. ჰერბარიუმები... ცოცხალი კუთხეები... მომავალ ბუნე-



ხეხილი უხვად მოისხამს თუ არა, ამას ნუნუ ზეიკიძე და გიორგი გაველური ყვავილობის პერიოდშივე ატყობენ.



ბისმეტყველთა დაუცხრომელ საქმიანობაზე მრავალი სარაიონო თუ რესპუბლიკური სიგელები და სამახსოვრო საჩუქრებიც მეტყველებს.

დღენიადაგ ფუსფუსებენ ნორჩი გეოგრაფები და მეტეოროლოგები. მშვენივრად მოწყობილ გეოგრაფიის მოედანზე დღეში სამჯერ ახდენენ ამინდზე დაკვირვებას თერმომეტრით, ნალექმზომით, ფლუგერით... ამ დაკვირვებათა მეოხებით ისინი ბუნების მოვლენათა კანონზომიერებას ეცნობიან, ამინდის წინასწარ გამოცნობის „საიდუმლოებას“ სწავლობენ.

სკოლის სახელოსნოში კი ხერხის ზუზუნი, შალაშინის „შრიალი“, ჩაქუჩის კაკუნი გაისმის. აქ ბავშვები, მასწავლებლის — დიმიტრი ლაფანაშვილის დახმარებით, სადურგლო იარაღების ხმარებაში ოსტატდებიან, საყვავილე ქოთნებს ამზადებენ, დაზიანებული მერხების, მაგიდების, სკამების შეკეთებაში იმაღლებენ შრომითს ჩვევებს.

პიონერთა ოთახში შესვლისთანავე თვალში მოგხვდებათ კედელზე მოთავსებული სიგელი, რომელიც სკოლის პიონერულმა რაზმეულმა ლენინური ორწლედის ყველა დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაიმსახურა.

მართლაც რომ სამართლიანად დაიმსახურა! ჭოპორტელი პიონერ-მოსწავლეები შრომასთან ერთად ჩინებულადაც სწავლობენ. მანანა ლაფანაშვილი, ქეთინო და მანანა ზეიკიძეები, ბელა ვეშაგური, მარინე ჯანგირაშვილი, ნანა და პაატა გელიაშვილები, თამაზ თანიაშვილი და სხვანი (რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!), რომ იტყვიან, თავაუღებლივ ეწაფებიან ცოდნის ანკარა წყაროს, აქედანვე იწაფავენ მუხლს მეცნიერების მწვერვალებზე ასასვლელად.

— ჭოპორტელი მოსწავლეები არც ამიერიდან შეირცხვენენ თავს, კიდევ უფრო განამტკიცებენ თავიანთ წარმატებებს, — ამბობს სკოლის დირექტორი ალექსანდრე თალიაშვილი, მას კვერს უკრავს მთელი პედაგოგიური კოლექტივი.

გვჯერა — ასეც იქნება!



ნოდარ ბუთხუზს თიბვა უყვარს. აი მან ცელი გულმოდგინედ გააფხავა და ღიღინით — „ცელო, მოუსვი ბალახსა“, ნამხარის გატანას შეუდგა.





მიხეილ ბეკურაშვილი, თემურ ზეიკიძე და ავთანდილ შალვაშვილი ვაზის ჩინებული შემწამვლელები არიან.



ნიადაგის ქიმიური ანალიზის ჩატარებაში ოსტატდებიან ელადა დანელიძე, გულიკო იოსებაძე და მარინე კახობელაშვილი.



# [illegible]

**კარლო ჭაბაჭაძე** მხატვარი ჯემალ ლოლუა

## საცეცხლურში

პირველ სექტემბერს ისევ აივსო ჩვენი სკოლა მოსწავლეთა ჟივილ-ხივილით. სკოლა ჩემი უბნიდან მოშორებით მდებარეობდა, ვიწროლიანდაგიანს უნდა გაჰყოლოდით და ქალაქში გასულიყავით. იქ, რკინიგზის სადგურის უკან ალმართულიყო ჩვენი სკოლის ქვის შენობა.

მალე ზესტაფონ-ჭიათურის დიდი რკინიგზის მშენებლებმა ჩვენს უბანშიც გადმოინაცვლეს. მყუდროება დაარღვია სატვირთო მანქანების და ექსკავატორების გრიალმა.

მივხვდი, ძველ ორთქლმავლებს დიდხანს აღარ ეწერათ აქ დგომა. გული მწყდებოდა, რომ ჩვენი ორთქლმავალი უბრალოდ აკვამლებულიც კი ვერ ვნახე.

ერთ შაბათ დღეს მე, კახამ და რეზომ ისევ მოვინახულეთ ორთქლმავალი. კიბეზე ავედი და კარის ზღურბლზე ჩამოვჯექი. კახამ რელსზე მოიკალათა, რეზო კი ექსკავატორს გასცქეროდა, რომელიც ვეება ხაპით მიწას იღებდა და თვითმცლელებზე ჰყრიდა.

— ბიჭებო, რაც იქნება, იქნება, მოვზიდოთ წყალი, ჩავასხათ ორთქლმავალში, ნახშირი და შეშაც მოვიტანოთ, გამოვაცოცხლოთ ეს ორთქლმავალი. — ვთქვი მე.

— წყალი რომ გაეპაროს? — იკითხა კახამ.

— კვამლს ხომ ამოუშვებს და ერთხელ მაინც დაიქშენს, — ვთქვი და საკვამლე მილს გავხედე.

— კარგია. ვინც დაინახავს, ყველა იფიქრებს, ორთქლმავალი აამუშავესო. — წამოიძახა რეზომ და ფეხზე წამოდგა.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში, გაკვეთილების შემდეგ, ვასხამდით ორთქლმავლის გამშრალ ხახაში წყალს, მისი მუცლის ამოვსებას კი საშველი არ დაადგა.

ერთხელ, წყლის ზიდვით რომ დავიღალეთ, კახამ ორთქლმავლის „სტომაქში“ ჩაიხედა და თქვა:

— ჩვენ ამას ვერ ავავსებთ, სჯობს ისევ ქვანახშირი მოვზიდოთ.

— მართლა, იმედა, — მოეჭიდა კახას ნათქვამს რეზო. — რაც ნაკლები წყალი იქნება, მით უფრო მალე ადუღდება.

რა მეთქმოდა, ბიჭების აზრი ჭკუასთან ახლოს იყო.

მეორე დღეს, სკოლიდან რომ ამოვიარეთ, ძალზე გავვოცდით: ჩვენი ორთქლმავლის ლიანდაგს მუშები შესეოდნენ და წმენდნენ. უდავო იყო, ორთქლმავლების წაღებას აპირებდნენ.

— რა ვქნათ? — შევსძახე მეგობრებს, — ამოდენა შრომა წყალში ჩაგვეყარა!

— დღეს რაღას წაიღებენ, სამუშაო დღე საცაა დამთავრდება. ამ საღამოსვე მოვზიდოთ შეშა და ქვანახშირი, ხვალ დილით კი... — თქვა რეზომ.

— ხვალ აუცილებლად წაიღებენ! — დასძინა კახამ.

— ხვალ დილას აქ მოვდივართ, სკოლას ვაცდენთ! — გადაწყვეტით ვთქვი და ბიჭებს გადავხედე. — თუ თქვენ არ მოხვალთ, ყველაფერს მარტო მე გავაკეთებ.

— მე მოვალ! — თქვა კახამ და რეზოს მიაჩერდა.

— მეც მოვალ! — განაცხადა რეზომ.

იმ საღამოსვე მოვზიდეთ შეშა, ზოგი შინიდან მოვიპარეთ, ზოგიც მესერ ღობეებს „დავესესხეთ“. მერე ვედროებით ქვანახშირი მოვზიდეთ. ის მშენებლებს სასადილოსათვის ჰქონდათ მოტანილი და ბევრი ეყარა.

მეორე დილით ადრე ავდექი, ჩვეულებრივად მოვემზადე და ვითომ სკოლაში წავედი. ერთი სული მქონდა, როდის დავინახავდი ჩვენს ორთქლმავალს.

ორთქლმავლები იმავე ადგილას იდგნენ. მალე კახა და რეზოც მოვიდნენ.

გზაზე მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა რომ ჩაიარეს, საქმეს მაშინ შევუდექით.

მე და რეზო ორთქლმავლის კაბინაში ავედით, ღუმელის კარი გავაღეთ და შიგ შეშის შეწყობა დავიწყეთ. შეშას ქვემოდან კახა გვაწვდიდა. ერთხანს ასე ვმუშაობდით. მოულოდნელად კახამ იყვირა: „ბიჭებო, მუშები მოდიან!“ დაფეთებულები ორთქლმავლიდან ჩამოვცვივდით და ბუჩქებს შევაფარეთ თავი.

მუშები რკინიგზაზე გამწკრივდნენ და ნიჩბებით ლიანდაგის წმენდა დაიწყეს. მუშა, რომელიც ჩვენს ორთქლმავალთან მოხვდა, ერთხანს გაკვირვებული უყურებდა

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 8, 8.

ქვანახშირის გროვას და სავსე ვედროებს, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. მერე ვედროები დაცალა და თავის იარაღებთან დააწყო.

უკვე მოშუადღევებული იყო, როცა მუშებმა სამუშაო მოათავეს და წავიდნენ. მაშინვე გამოვცვივდით ბუჩქებიდან და ისევ ორთქლმავალს შევესიეთ. ჩვენი ვედროები იმ მუშამ წაიღო და, სხვა გზა არა გვქონდა, ორთქლმავალში რაც ნახშირი ეყარა, ის უნდა გვეკმარა.

მალე ყველაფერი მზად იყო, ცეცხლის შენთების მეტი აღარაფერი უნდოდა.

ჯიბიდან ასანთი ამოვიღე, გავკარი და ღუმელში შევაგდე, მაგრამ ასანთი უმალ ჩაქრა. მაშინ ქაღალდი დავგრიხე, ცეცხლი მოვუკიდე და შეშის ქვეშ ამოვდე. ცეცხლი მაინც არ გაჩაღდა, — ქაღალდი ერთხანს ბჟუტავდა და მალე ჩაქრა.

ბიჭები მდუმარედ მომჩერებოდნენ.

მაზუთით სავსე ბოთლი ავიღე და ღუმელში შევასხი. ისევ ვცადე ცეცხლის გაჩაღება, მაგრამ ამაოდ.

— საცეცხლურში შეძრომაა საჭირო და ცეცხლის ქვემოდან შენთება. — ვთქვი ბოლოს, ძირს ჩამოვხტი, ორთქლმავლის ქვეშ შევძვერი და საცეცხლურის კარი გავხსენი.

მეგობრებიც უკან მომყვნენ.

— მერე ვინ შეძვრება? — იკითხა რეზომ, როცა საცეცხლურში შეიხედა.

— შენ! — უთხრა კახამ.

— მე?! — გაგიჟდა რეზო.

— მე შევძვრები. როცა დაგიძახებთ, უკან გამოძრომაში მომეხმარეთ. — ვთქვი და საცეცხლურში თავი შევყავი.

საცეცხლურში გულაღმა შევძვერი, ერთ ხელში ქაღალდი მეჭირა, მეორეში — ასანთი. ზევით, გისოსების მიღმა, ღუმელში შეწყობილი შეშა მოჩანდა, რომელზეც მაზუთი ჩამოღვენთილიყო. ასანთი მოვიმარჯვე და გავკარი, მაგრამ კარიდან ნიავი უბერავდა და არ აინთო.

— კახა! — გავძახე. — კარი მოხურეთ!

მალე ჩემს ფეხებთან კარმა გაირახუნა და საცეცხლურში უფრო ჩამობნელდა. ასანთი გავკარი, ახლა თავისუფლად მოეკიდა და ქაღალდი ავაბრიალე. მოულოდნელად თბომავალის კივილი და ბორბლების დაგადუგი შემომესმა, მას რეზოსა და კახას შეშფოთებული ხმები შეუერთდა:

— იმედა, იმედა! გამოდი, თბომავალი მოდის!

ამასობაში ცეცხლი ჯერ მაზუთს მოეკიდა, მერე შეშას და სახეზე მომაფიცხა. გარედან მოახლოებული ორთქლმავლის ხმაური ისმოდა, კარი კი კვლავ მოხურული იყო. ფეხი ვკარი, მაგრამ არ გაიღო. მაშინ კახას და რეზოს ვუხმე. პასუხი არავინ გამცა. ერთხანს გაოგნებული მივჩერებოდი ჩემს ზევით მოგიზგიზე ცეცხლს, მაგრამ, როცა საცეცხლურში ნაპერწკლებმა იწყო ცვენა და მაზუთის შავი კვამლი დატრიალდა, თანაც თითქმის ზედ მომდგარი თბომავლის საყვირის ხმა გავიგონე, ვიკადრე და ავღრიალდი. მალე კარის გაღების ხმა გავიგონე, ვიღაცამ ფეხებში წამავლო ხელი და გამქაჩა, მეც გავხოხდი. უცბად ცეცხლი წამობრიალდა და ვიგრძენი, წამწამები და წარბები შემეტრუსა, ცეცხლი თმაზეც წამეკიდა. ამასობაში გარეთ გამომათრიეს. ვიღაცამ თავზე ქუდი ჩამომაფხატა. როცა ქუდი მომხადეს და თვალი გავახილე, — რაც ძალიან გამიჭირდა, რადგან შეტრუსული წამწამები ერთმანეთში გადახლართულიყო, — ვაგონების გადამბმელი ვიცანი, ჩვენს უბანში ცხოვრობდა.

— შენ იმედა ხომ არა ხარ, ჩვენი ვანოსი? — მკითხა გაოცებულმა და შეშფოთებულმა გადამბმელმა.

მე გაქცევა დავაპირე. ორთქლმავალთან ამბროსი და ორი უცხო რკინიგზელი (ალბათ თბომავლის მემანქანეები) იდგნენ.

— მგონი გაგიჟდა, არ გაუშვათ, არიქა! — იყვირა გადამბმელმა.

ერთმა მემანქანემ და ამბროსიმ ხელი მტაცეს და გამქაჩეს. გავფართხალდი, გამიშვით-მეთქი. მემანქანეს, როგორც იქნა, გავაშვებინე ხელი, მაგრამ ამბროსი ვერაფრით მოვიშორე.

— არ გავგიჟებულვარ, შინ წავალ! — ვუთხარი ამბროსის.

— მით უკეთესი, თუ არ გაგიჟებულხარ. შინ მე მიგიყვან. — მომიგო ამბროსიმ.

დავემორჩილე. ჩანთას ავიღებ-მეთქი, — ვუთხარი. ამბროსი ხელჩაკიდებული მიმყვა ბუჩქებამდე, მაგრამ ჩემი ჩანთა იქ აღარ იყო.

ნელა გავუყევით გზას. უცებ თბომავლის კივილი შემომესმა, უკან მივიხედე. ჩვენი ორთქლმავლიდან კვამლი ამოდიოდა. ერთი შეხედვით ისე გეგონებოდათ, თითქოს თბომავალი კი არ მიათრევდა მასა და ორ სხვა ძველ ორთქლმავალს, არამედ ჩვენი ორთქლმავალი მიათრევდა სამივეს.

— ნახე, — ვუთხარი უზომოდ გახარებულმა ამბროსის. — კვამლი ამოდის!

— კარგი კვამლი იქნებოდა, შიგ გოჭივით რომ გამოიხრუკებოდი!

პურის მაღაზიის წინ შეშფოთებული მეზობლები შემომეხვივნენ: რა მოუვიდაო, სად დაიწვაო. ვიტრინის მინაში ჩავიხედე და გავვოცდი: ჩემი თავი ვეღარ ვიცანი, ისე ვიყავი გატრუსულ-გამურული.

ორღობეში რომ შევედით, სტვენა შემომესმა. გავიხედე: ღობის უკან კახა და რეზო იმალებოდნენ.

— ჩანთა მომეცით, ჩანთა! — გავსძახე გულმოსულმა.

ორივენი საჩინოზე გამოვიდნენ, კახამ ჩანთა მომიტანა, ჩვენი ბრალი არ არისო, კარი ვეღარ გავხსენით, თან თბომავალი გვიახლოვდებოდა და დავიბენითო.

ჩანთა ისე ჩამოვართვი, ხმა არ გამიცია. ერთხანს უკან მომდევდნენ.

როგორც კი ჩვენი ეზოს ჭიშკარში ფეხი შევდგი, დედამ მომკრა თვალი. ჯერ გაოცებული მომჩერებოდა, მერე, რომ მიხვდა ჩემს თავს რაღაც უბედურება იყო, კივილი მორთო.

მის კივილზე შინიდან პაპაჩემი გამოვარდა. შეიქნა ერთი ამბავი. ამბროსიმ ხელი გამიშვა და მოკლედ მოჰყვა ყველაფერს, რაც იცოდა.

როცა დედაჩემმა ყველაფერი გაიგო, მთათხა და მთათხა. ვიდექი ბრიყვივით და ვგრძნობდი, თავის ქალაზე ტყავი როგორ მეჭიმებოდა, გული თანდათან მიღონდებოდა. პაპაჩემმა შემამჩნია, თვალები რომ დავხუჭე და ისევ გავახილე, დედაჩემს შეუცაცხანა:

— ახლა მაგის დრო არ არის, ამ ბავშვს მივხედოთ!

სასწრაფოდ შემიყვანეს შინ. ამბროსიც შემოვიდა, რომელიც სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: საჭმელი ზეთი წაუსვით, საჭმელი ზეთიო.

— ჯერ არ დავბანოთ? — იკითხა დაბნეულმა დედაჩემმა.

— ჰო, დაბანეთ, მერე კი ზეთი წაუსვით, ზეთი! — გაიმეორა ამბროსიმ. პერანგი სწრაფად გამაძრეს და გამბანეს, მური მომაშორეს. როცა თავსა და სახეზე ზეთი წა-

მისვეს, დედამ სიცილი ვეღარ შეიკავა, მას სხვებიც აჰყვნენ.

სარკეში ჩავიხედე, მართლაც სასაცილო ვიყავი, ძლოკვივით მქონდა თავი გაპრიალებული.

პაპაჩემმა ჩიბუხი გააჩაღა, მერე ამბროსის უთხრა, დაჯექიო, თვითონ კი ოთახში მიმოდიოდა, თან ჩიბუხს აბოლებდა. ეტყობოდა, გაბრაზებული იყო.

— ბიჭო, არ გინდა სწავლა? — მკითხა მოულოდნელად და გამჭოლი თვალით დამაცქერდა.

შეცბუნებულმა შევხედე და კვლავ თავი დავხარე.

— აბა, რა ჯანდაბა და დოზანა გინდა! — ატირდა უცბად დედაჩემი და ცხვირსახოცი მოიმარჯვა. — ქვეყნის საგლახაო გინდა გამოხვიდე?

— წაიღეს, კაცო, ის ორთქლმავლები? — მიუბრუნდა პაპაჩემი ამბროსის.

— მაგ ორთქლმავლებს დასწვავს ცეცხლი და წალეკავს წყალი! — შესძახა დედაჩემმა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

პაპაჩემს ქვეშ-ქვეშ გავხედე, რომელსაც, ცხადია, არ ესიამოვნა ორთქლმავლების დაწყევლა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ამბროსიმ უხერხულობა იგრძნო, ფეხზე წამოდგა და წასვლა დააპირა.

მე საწოლზე შერისხულივით ვიჯექი თვალებმილულული, ვგრძნობდი ზეთმა როგორ დამილბო თავის ქალაზე გადაკრული ტყავი და მესიამოვნებოდა.

— მითხარი, — დაიწყო ისევ დედაჩემმა. — გინდა თუ არა სწავლა? თუ არ გინდა, თქვი და სხვანაირად მოვიქცევით.

რა უნდა მეპასუხა? ვიჯექი გაოგნებული. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა.

— თქვი, გინდა თუ არა სწავლა? — გამიმეორა დედაჩემმა.

— ორთქლმავალი, ორთქლმავალი მინდა! — მივუგე ბოლოს და ლოგინზე მივწექი, რადგან მეტი აღარ შემეძლო, თავბრუ დამეხვა. ვიდრე მივწვებოდი, პაპაჩემს გადავხედე. შევამჩნიე ღიმილი, რომელმაც სიბერისაგან დამჭკნარი სახე გაუბრწყინა.

## პაპაჩემის იმედი

ორი წლის შემდეგ დიდი რკინიგზის მშენებლობა დაამთავრეს და პირველმა დიდმა მატარებელმა მიაკივლა ჭიათურას.

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა აყარეს და მის ადგილას ლამპიონებით განათებული ქუჩა გაიყვანეს, ასფალტი დააგეს და აკაციის ხეები ჩაამწკრივეს.

პაპაჩემმა რკინიგზელის ტანსაცმელი საბოლოოდ გაიხადა და ზვარში ჩადგა.

მე უკვე მერვე კლასის მოსწავლე გახლდით. ტანი ავიყარე. დავდიოდი სკოლის ტექნიკურ სადგურში, სადაც სხვადასხვა მოდელებს და ელექტროხელსაწყოებს ვაკეთებდი.

სკოლაში ყველაზე უფრო ორი მასწავლებელი ამყარებდა ჩემზე იმედს: ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელსაც, ჩემი სიმაღლის იმედით, კალათბურთელად უნდოდა გამოვეყვანე, და ტექნიკური სადგურის მასწავლებელი.

მე კი, თუმცა კალათბურთი ძალიან მიყვარდა, მაგრამ ტექნიკურ სადგურში ჩხირკედელაობა ყველაფერს მერჩია. რაც შეეხება დედაჩემს, მას უნდოდა ექიმი გამოვსულიყავი, სხვა არაფერი.



პაპაჩემი თავის სურვილზე არაფერს ამბობდა, მაგრამ გრძნობდა ჩემს ნათესაურ კავშირს მის სულიერ სამყაროსთან. ბერიკაცის ოცნება იყო, მე იმისი და მამაჩემის საქმე გამეგრძელებინა. იგი ხედავდა, რომ ორთქლმავლები ხმარებიდან გადიოდა, მაგრამ ხშირად იტყოდა ხოლმე, ახალგაზრდა რომ ვიყო, ელმავლის მართვას შევისწავლიდიო.

მერვე კლასში კომკავშირში მიმიღეს.

მართალია, ტექნიკურ სადგურშიაც დავდიოდი, კალათბურთსაც ვთამაშობდი, სწავლითაც უკეთესად ვსწავლობდი და დედაჩემის ოცნებასაც ანგარიშს ვუწევდი, მაინც ძველი გატაცებები და ფიქრები თავიდან არ მშორდებოდა, ძალიან მინდოდა მემანქანე გავმხდარიყავი და ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში დიდი ლოკომოტივები მექროლებინა.

პაპაჩემი, რაც პენსიაზე გავიდა, უფრო მოტყდა და დადარდიანდა. მისი ყველაზე დიდი დარდი ფრონტზე უგზოუკვლოდ დაკარგული მამაჩემი იყო. რაც დრო გადიოდა, მით უფრო იპყრობდა შიში, ვაითუ უმცროსი შვილი ვეღარ ვნახოო. ამ დარდს ისიც ერთვოდა, რომ თავის საყვარელ საქმეს ჩამოშორდა. მართალია, კარ-მიდამოში დაბუჯღარობდა, მაგრამ ხშირად გადახედავდა ხოლმე რკინიგზას, რომელზეც მძლავრი მატარებლები დაჰქროდნენ. ერთი საჯავრებელიც ჰქონდა პაპაჩემს, ეს შორაპნელების ბედზე ფიქრი იყო.

— რა ეშველებათ ახლა იმათ, ვიწროლიანდაგიანი აყარეს, დეპო გააუქმეს, სად უნდა წავიდნენ? რა უნდა ქნან? — იტყოდა ხოლმე.

ხშირად ჩვენსას პაპაჩემის ძველი მეგობრები მოდიოდნენ. პაპა უმალვე გამოცოცხლდებოდა ხოლმე, ქვევრს თავს მოხდიდა, დედა ვარიებს შეწვავდა, ხაჭაპურებს გამოაცხობდა. მერე დასხდებოდნენ ძველი მემანქანეები და იგონებდნენ წასულ ახალგაზრდობას. ისეთ კორიანტელს დააყენებდნენ ხოლმე თავიანთი ორთქლმავლებით, რომ ლამის იყო ჩვენს ძველ სახლს ბორბლები გამობმოდა და ქშენით გზას გასდგომოდა.

ერთ დღეს პაპაჩემმა კვლავ ჩაიცვა რკინიგზელის ფორმა, კაკარდიანი ქუდი დაიხურა და სამხედრო კომისარიატში წავიდა: მივალ, ვიკითხავ ჩემი შვილის ამბავსო. ნეტავი კი არ გაგვეშვა...

კომისარიატიდან მალე დაბრუნდა. მითხრეს, გავიგებთ და პასუხს წერილობით გაცნობებთო.

სულმოუთქმელად ელოდა პასუხს. ორი კვირის თავზე პასუხი მიიღო, რამაც საბოლოოდ გაანადგურა ბერი-



ელექტრონული ბიბლიოთეკა

კაცი. მოთქვამდა და სახეს იკაწრავდა დედაჩემი, ვტიროდი მეც.

ცნობაში ეწერა: თქვენი შვილი, ლეიტენანტი ვანო იაკობის ძე თავდგირიძე დაღუპულთა სიაში ირიცხებაო.

პაპაჩემი ლოგინად ჩავარდა, მთელი ზამთარი ავადმყოფობდა. გაზაფხულზე მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა. ერთ დღეს დედაჩემი იხმო და უთხრა, შვილებს დეპეშები გაუგზავნე, ჩამოვიდნენო.

გაკვეთილების შემდეგ ტექნიკურ სადგურში შევედი, ორთქლმავლის მოდელს ვაკეთებდი და მინდოდა ცოტა მემუშავა.

მალე მასწავლებელიც მოვიდა.

— გადაწყდა, — მითხრა მან, — შორაპანში ყოფილი დეპო უნდა გაფართოვდეს და აკუმულატორების ქარხანად გადაკეთდეს.

გაოცებულმა შევხედე მასწავლებელს. პაპაჩემი გამახსენდა, სულ იმას რომ ჯავრობდა, შორაპნელებს რა ეშველებათო.

— მაშ, ქალაქი არ მოკვდება? — ვკითხე.

— მოკვდება?! — გაუკვირდა მას. უცებ მიხვდა, რასაც ვეკითხებოდი და დასძინა: — არა, იმედა, ქალაქი არ მოკვდება. ჩვენში, ხომ იცი, ყველაფერი გეგმიანად კეთდება.

გახარებულმა ჩანთას დავავლე ხელი და კარს მივაშურე.

— სად გარბიხარ?! — მომაძახა გაკვირვებულმა მასწავლებელმა.

— მეჩქარება, პაპას უნდა ვახარო! — კარში გამოვვარდი და შინისკენ გავიქეცი.

ჩვენი ალმართი სულმოუთქმელად ავირბინე, ვჩქარობდი, მინდოდა ლოგინში მწოლიარე პაპაჩემისათვის მეხარებინა ახალი ამბავი. მაგრამ ოთახში ორივე მამიდა და ბიძაჩემი დამხვდნენ. დედაჩემი სამზადში იყო გასული.

მამიდები პაპაჩემის სასთუმალთან გულხელდაკრეფილნი ისხდნენ, ბიძაჩემი ოთახში ბოლთას სცემდა. რომ შევედი, ბიძაჩემი შეჩერდა და თქვა:

— მოვიდა!

— მოვიდა! — თქვეს მამიდებმაც. ალბათ პაპა კითხულობდა, რატომ არ მოვიდა ის ბიჭი ამდენ ხანსო.

პაპაჩემმა გადმომხედა და კვლავ ჭერს მიაპყრო თვალი. საწოლთან ჩავიჩოქე და სხაპასხუპით მივაყარე:

— პაპა, იცი, შორაპანი იარსებებს, მასწავლებელმა თქვა, იქ ქარხანასააშენებენო...

— ვიცი, ყველაფერი ვიცი! — შემაწყვეტინა პაპაჩემმა და თავზე ხელი დამადო. — ბიძაშენმა მითხრა, თბილისიდან ჩამოიტანა ამბავი.

ოთახში დედაჩემი შემოვიდა. გავიგონე მამიდის ხმადაბალი ქვითინი.

— რა გატირებს გოგო, — შეუცაცხანა პაპაჩემმა, — მე ჯერ ცოცხალი ვარ!

მამიდა წამოდგა და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ პაპამ არ გაუშვა.

— დაიცა, შვილო, მოდით აქ ახლოს. გიორგი! — დაუძახა მერე ბიძაჩემს. — მოდი, აქ დადექი. შენც მოდი, ჩემო ერთგულო რძალო!

როცა ყველანი ისე დადგნენ, როგორც პაპაჩემს უნდოდა, ხმადაბლა დაიწყო:

— მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, ამ ჩემს იმედას თქვენ გიტოვებთ. — ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო: — მიმიხედეთ, უმამოა და არ დამეჩაგროს. გიორგი! ასწავლე ამ ბიჭს ჩვენი საქმე, მინდა ჩვენს კვალს გაჰყვეს, ეს არის ჩემი უკანასკნელი იმედი!



პაპაჩემი ერთხანს უხმოდ იწვა, თვალები ჭერისთვის მიეპყრო და თავზე კვლავ მისვამდა დაკოჟრილ ხელს.

ქალები ცრემლს იწმენდნენ და სლუკუნებდნენ.

— ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ, შვილებო! — დაიწყო პაპაჩემმა, — ნუ მოშლით აქაურობას, ნუ დაკარგავთ ფუძეს, ნუ გაახარებთ მტერს. — პაპამ ისევ მოითქვა სული, ვიგრძენი ლაპარაკი უჭირდა. თავი ავწიე და შევხედე. თვალები გაწყლიანებოდა, მალე ცრემლი გადმოუგორდა უპედან და ლოყაზე დაუცურდა, წვერს შეერია. მოხუცმა განაგრძო: — ჩემი და ჩემი შვილის სახელით იყოს ეს კერია ჩაუქრობელი, ვიდრე ეს ბიჭი დავაჟკაცდება, მერე კი... — პაპამ აღარ დაასრულა, ცრემლი უშლიდა ხელს.

მეც ავცრემლდი. ერთი წუთითაც არ მინდოდა წარმომედგინა, რომ პაპა მოკვდებოდა, აღარ მეყოლებოდა ერთგული ქომაგი, არ დამიფარავდა კეთილი მოხუცის მშრომელი ხელი.

...ერთი თვის შემდეგ პაპა გარდაიცვალა. გასვენებაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მოვიდნენ პაპაჩემის მოხუცებული მეგობრებიც, ნათესავები, ჩამოვიდნენ ბიძაჩემის ამხანაგებიც.

ყველამ სათითაოდ დავიტირეთ ნაჯაფარი მოხუცი...

## წმინდა საფლავი

ჩემი ოცნება ასრულდა, — მემანქანე გავხდი. როგორც კი რკინიგზის ტექნიკუმი დავამთავრე, ელმავლის მემანქანის თანაშემწედ გამამწესეს.

მე და მემანქანეს ახალი, თბილისური რვაღერძიანი ელმავალი ჩაგვაბარეს. უსაზღვროდ გამიხარდა, როცა გავიგე, რომ პირველი რეისი დასავლეთისაკენ გვქონდა, — ბათუმში უნდა ჩაგვეყვანა სატვირთო „შემადგენლობა".

თენდებოდა, ზესტაფონს რომ ჩავუარეთ. კარგად ვხედავდი ნაცნობ მიდამოებს. გავცდით გადმოყუდებულ კლდეებს. ამ პიტალოს თავზე ერთ დროს პატარა მატარებლის რკინიგზა გადიოდა და მე და პაპამ ორთქლმავალი ვხედნეთ, დიდი მატარებლისთვის გვინდოდა გაგვესწრო. მალე კლდეები გადაჭიმულმა ზვრებმა შეცვალა, შემდეგ ისევ მოახლოვდა ბორცვები, გამოჩნდა წითელკრამიტიანი იმერული ოდები. ფანჯრიდან თითქმის გავძვერი და ჩვენს გორაკს დავადგი თვალი, იქნებ ეზოში დედაჩემი გამოვიდეს და ხელს მაინც დავუქნევ მეთქი. მოულოდნელად ელმავალმა იკივლა, მკვეთრად შეანელა სიჩქარე და გაჩერდა. სწრაფად შევტრიალდი მემანქანისაკენ:

— რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა, ვერა ხედავ წითელ შუქს? — მომიგო გულმოსულმა მემანქანემ, — ასე უნდა გაერთო?

შუქნიშნისაკენ გავიხედე, წითლად ანათებდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მემანქანესაც რომ ვერ შეენიშნა... ამაზე ფიქრიც კი საშინელება იყო...

მოულოდნელად ფეხის ხმა, ხრეშის ხრაშახრუში გავიგონე. ამბროსი იყო, ხელში თევზების ასხმა ეჭირა და ხის ფეხს მოაბრახუნებდა.

— ამბროსი ბიძია! — გადავძახე ელმავლიდან...

მოიხედა, შეჩერდა და დიდხანს გაკვირვებული მომჩერებოდა.

ძირს ჩავხტი და მასთან მივირბინე.

— რომელი ხარ, ბიჭო შენ? — მკითხა ამბროსიმ, როცა მივუახლოვდი. — იმედა ხომ არა ხარ, ჩვენი ვანოს ბიჭი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



— იმედა ვარ, იმედა! ამბროსი ბიძია, გამარჯობა! — ვუთხარი გახარებულმა და ხელი ჩამოვართვი.

ერთხანს ვისაუბრეთ, დედაჩემიც მოვიკითხე, თუმცა წინა დღეს მქონდა წერილი მიღებული და ვიცოდი კარგად იყო.

— შენ თუ კაცი დადგებოდი არ მეგონა, — მითხრა ბოლოს ამბროსიმ. — რა ცელქი იყავი! ახლა კი...

უცებ ელმავალმა დაიყვირა, მე მიხმობდა. შუქნიშანს გავხედე, ლურჯად ანათებდა, გზა ხსნილი იყო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ამბროსი ბიძია, — ვუთხარი და უკვე დაძრულ ელმავალზე ავხტი.

■

დედაჩემი მარტოდმარტო დარჩა ჩვენს ძველ სახლში. ერთხანს ვერაფერს ვეუბნებოდი, პაპაჩემის დანაბარებს ვასრულებდი, კერიის გაციება არ მინდოდა. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე არ ივარგებდა. ახლა, როცა უკვე დავვაჟკაცდი და თბილისში ვმუშაობდი, დედაჩემის მარტოდმარტო ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა.

გადავწყვიტეთ ჩვენი ძველი სახლი გაგვეყიდა და ერთად გვეცხოვრა თბილისში. დედა ყოველ წერილში მწერდა, მუშტარი ბევრი მოდისო, მაგრამ ზოგს ფასში ვერ ურიგდებოდა, ზოგი არ მოსწონდა, — ჩვენს კარ-მიდამოზე ეს გაიძვერა როგორ ვაპარპაშოთო.

პირველი რეისიდან უკან რომ ვბრუნდებოდი, ზესტაფონის სადგურზე დედა დამხვდა და სასიხარულო ამბავი მაუწყა: ბელორუს კვალისმაძიებელ პიონერებს მამაჩემის საფლავისათვის მიეგნოთ და გვთხოვდნენ, თუ ჩამოხვალთ, დეპეშით გვაცნობეთო.

დედამ აცახცახებული ხელით გადმომცა მათი წერილი. სულმოუთქმელად ჩავიკითხე.

წერილი ბელორუსიის ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან იყო გამოგზავნილი. მამაჩემი თურმე ამ ქალაქის გათავისუფლებისათვის იბრძოდა და აქვე დაღუპულა გმირულად. პიონერები გვთხოვდნენ, მისი რაიმე პირადი ნივთი, აგრეთვე სურათები გამოგვიგზავნეთო.

დედაჩემი ცრემლად იღვრებოდა, ცოცხალს ჩვენთან ყოფნა არ ეწერა, მკვდარი მაინც იყოს ჩვენთან ახლოს, უნდა გადმოვასვენოთო.

ახლობელი ნათესავები ჩვენს ძველ სახლში შევიკრიბენით. ჩამოვიდნენ მამიდები, ბიძაჩემი, ბიძაშვილი გოგი, რომელიც იმ დროს უნივერსიტეტში სწავლობდა.

ბელორუსიაში ჩვენს გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე მამაჩემის სურათი და რამდენიმე პირადი სამუშაო იარაღი გავუგზავნეთ პიონერებს.

გამგზავრების წინა დღეს კი ჩვენი უბნის სასაფლაოზე ავედით, ბებიისა და პაპის საფლავი მოვინახულეთ. წამოსვლისას ბიძაჩემმა საფლავზე ერთი მუჭა მიწა აიღო და პატარა პარკში ჩაყარა.

დილით მატარებელი უკვე ბელორუსიისაკენ მიგვაქროლებდა.

მესამე დღეს მივადექით იმ პატარა ქალაქს, სადაც მამაჩემის საფლავი იყო.

ვაგონიდან ჩამოვედით თუ არა, პიონერული საყვირისა და დაფდაფების ხმა შემოგვესმა. სადგურის ბაქანზე პიონერები ჩამწკრივებულიყვნენ. მათ უკან რკინიგზელებიც იდგნენ. მალე პიონერებს გოგო და ბიჭი გამოეყვნენ და ჩვენკენ წამოვიდნენ. გოგოს წინ გაშვერილ ხელისგულზე კოხტად ნაქარგი ტილო ჰქონდა გადაფარებული და ზედ მრგვალი, თეთრი პური იდო. ისინი ჩვენს წინ შეჩერდნენ და მოგვესალმნენ: კეთილი იყოს ჩვენს ქალაქში თქვენი მობრძანებაო. ამის შემდეგ რკინიგზელებიც მოგვიახლოვდნენ, ხელი ჩამოგვართვეს და გვითხრეს, ჩვენ ვანოს თანამებრძოლები და ამხანაგები ვართო.

სადგურის მოედანზე ავტობუსები გველოდებოდა. მალე ყველანი შიგ ჩავსხედით და დავიძარით, ქალაქის ქუჩები გავიარეთ და ძმათა სასაფლაოს მივადექით. აქ ქალაქის მცხოვრებლებს მოეყარათ თავი.

მამაჩემის საფლავზე თაიგულები ეწყო. საფლავი თეთრი, თლილი ქვით იყო დამშვენებული. დაბალ კვარცხლბეკზე ორთქლმავალი ამოეკვეთათ.

დედამ და მამიდებმა შორიდანვე დაიწყეს ტირილი. ტიროდა ბიძაჩემიც, ავტირდი მეც, ცრემლს იწმენდდა გოგი. ჩვენი წუხილი იქ შეკრებილმა ხალხმაც გაიზიარა.

პიონერხელმძღვანელმა მოკლედ მოგვითხრო საფლავის პოვნის ამბავი. ერთ-ერთი პიონერის პაპას მამაჩემის პარტიზანულ რაზმში უბრძოლია. სწორედ იგი დახმარებია პიონერებს მამაჩემის საფლავის, პირადი ნივთებისა და საბუთების მოძებნაში.

მამაჩემი თურმე ამ პატარა ქალაქში შემთხვევით ჩარჩენილა თავისი მატარებლით, უკან წასასვლელი გზა გერმანელებს მოუჭრიათ. მაშინ მამაჩემს მატარებელი აუფეთქებია, გერმანელებს რომ არ ჩავარდნოდათ ხელში. ქალაქის მცხოვრებლებთან ერთად ტყეში გახიზნულა, იქ პარტიზანული რაზმი შეუქმნია. პარტიზანული რაზმი მალე გაზრდილა და შიშის ზარს სცემდა თურმე ფაშისტებს. როცა ჩვენი ჯარები მოახლოებულან, პარტიზანულ რაზმს გაუთავისუფლებია ეს ქალაქი გერმანელებისაგან, რომელთა შტაბი სკოლის შენობაში ყოფილა მოთავსებული. სწორედ ამ ბრძოლაში დაღუპულა მამაჩემი, გამარჯვებამდე რამდენიმე საათით ადრე.

მოგონებების შემდეგ, პიონერებმა საფლავის წინ ფიცი დადეს, კარგად ვისწავლით და არ შევარცხვენთ სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი მებრძოლის სახელობის სკოლასო. მერე ერთმა გოგონამ გამოაცხადა: ჩვენი სკოლის პიონერული რაზმეულის საპატიო წევრად იმედა ივანეს ძე თავდგირიძე უნდა მივიღოთო.

პიონერები მომიახლოვდნენ და ჩემს წინ დადგნენ. პატარა ბიჭმა კისერზე წითელი ყელსახვევი შემომახვია. ტანში ჟრუანტელმა დამიარა; ჩემი ბავშვობა გამახსენდა, ყელსახვევის გაკეთება რომ არ მიყვარდა და პიონერხელმძღვანელი სულ რომ მეჩხუბებოდა.

ბიძაჩემმა მადლობა გადაუხადა პიონერებსა და იქაურ მკვიდრთ ასეთი დიდი პატივისცემისათვის. მერე ჯიბიდან პარკი ამოიღო და პაპაჩემის საფლავიდან წამოღებული ერთი მუჭა მიწა მამაჩემის საფლავზე მიმოაბნია.

შემდეგ პიონერებმა სკოლაში მიგვიწვიეს. იქ კიდევ ახალი სიურპრიზი გველოდა.

სკოლის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილი იყო მუზეუმი. აქ გამოეფინათ მამაჩემის სურათი და სამუშაო იარაღები, ზესტაფონიდან რომ გამოვუგზავნეთ. აქვე იყო მამაჩემის ავტომატი, ნაგანი, ორი ხელყუმბარა, პირადი საბუთები, სამხედრო წიგნაკი და პარტიული ბილეთი.

მუზეუმის კედლებზე ჩამოკიდებული იყო მამაჩემის გადიდებული სურათი, პიონერების ხელით შესრულებული საბრძოლო ეპიზოდების ამსახველი ნახატები, მამაჩემის თანამებრძოლი პარტიზანების სურათები, ქალაქის ომისდროინდელი და ომისშემდგომი პერიოდის ხედები.

ჩვენ დიდხანს, დიდხანს ვათვალიერებდით ყველაფერს.

დედაჩემს თითქოს კრიჭა შეკვროდა, ხმა ერთხელაც არ ამოუღია.

მამაჩემის ნეშტის გადმოსვენებაზე ფიქრიც კი უხერხული იყო...

როცა შინ, ზესტაფონში დავბრუნდით, დედაჩემი რაღაც უფრო მხნედ მოჩანდა. მას შემდეგ ბელორუსი პიონერებისაგან ხშირად მოსდიოდა წერილები. დედაჩემიც დაუზარებლად სწერდა პასუხს. მერე მამაჩემის ჯიბის საათი, სანადირო თოფი და ტანსაცმელიც კი გაუგზავნა მათი სკოლის მუზეუმს.

ერთხელ თბილისიდან ზესტაფონში ჩაველი. ალბათ სახლის მყიდველებმა გაიგეს, შინ რომ ვიყავი, — საღამოს ერთი მუშტარი მოვიდა და ბინის გულდასმით დათვალიერებას შეუდგა. მაგრამ დედამ აღარ დააცალა და მკვახედ მიახალა:

— სახლს აღარ ვყიდით!

გაკვირვებულმა მყიდველმა მე შემომხედა.

— დედაჩემის გადაწყვეტილება საბოლოოა! — ვუთხარი რიხიანად.

მყიდველი კუდამოძუებული წავიდა. როცა ის კაცი თვალს მიეფარა, დედამ მითხრა:

— რა ვქნა, შვილო, ბელორუსმა პიონერებმა ჩემი აქაური მისამართი იციან, ხომ არ გამოვიცვლი ადგილსამყოფელს!

სიყვარულით მოვხვიე ხელი დედას, დავიხარე და შევერცხლილ თმაზე ვაკოცე.



მურმან ჯგუბურია

## სამი ლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

გავიდა წელი...
თვალისაგან შეუმჩნეველი,
როგორც ფიქრებში
ჩაკარგული სხივი ოცნების...
ქვეყნად ახალი აპრილია.
ნორჩი ტყე-ველი
ფაჩუნებს ნელა
და ცინცხალი მზით იმოსების.
გულს ფიქრი ახლავს
ახალი და გასახარელი,
თვითონ ბუნებას
შეეცვალა თითქოს გუნება;
რა ახლო არის ყველაფერი,
რა საყვარელი,
რა საამოა
ბარით მიწის გადაბრუნება!

*

ახლა სოფელში
ჩაფარიის ისმის ჭრიალი,
შეფოთლილია
ღობის გასწვრივ მდგარი თუთები;
ქოხში სითბოა და სიწყნარე,
და აბრეშუმის
ჭიები ნელა შრიალებენ.
რაღაც უთქმელი
ხალისი შვენით დღეს სოფლელებს,
და იმედებით
ივსება გული,
მაღალია ნება განგების.
ხარობს ბებია...
აღარ ჰყოფნის უკვე ჩელტები,
და ღია ცაზე
მობარჩხალე მზე მიბრძანდების...

*

არ მითავდება არასოდეს
მე სამუშაო...
დათბა ამინდი, დადგა ჟამი —
თოხი მოვპირო;
მზის ასავლეთით აიწვერა
სხივი უცადი,
ღობეს უყურებს ეკალ-ბარდი
და მიცოდვილობს.
არ აიმღვრევა უთენია
გლეხის ფიქრები,
წყურგილესავით
სუფთაა და თეთრი იმედი;
დღეს თუ ვიქნებით,
უსათუოდ, — კიდევ ვიქნებით,
წყენა რა არი,
წყენაც აღარ მახსოვს მცირედი.






ჩვენთან სტუმრად არის აზერბაიჯანელი ბავშვების საყვარელი ჟურნალი „პიონერი“.



# სუმგაითი

**სვეტლანა ნაჯაფოვა**

შეუძლებელია იმ მიღწევების ჩამოთვლა, რაც დიდმა ოქტომბერმა მოუტანა ჩვენს ხალხს. ქალაქებისა თუ ფაბრიკა-ქარხნების შენება, მეცნიერების აღმოჩენები, — ყველა ეს ოქტომბრის მონაპოვარია. სოფლად თუ ქალაქად, ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით გასაოცარ სიახლეს. ყველაზე მეტად კი ეს სუმგაითში იგრძნობა, რადგან ეს ქალაქი ყველაზე ახალგაზრდაა, იგი ლენინურმა კომკავშირმა ააშენა. ვეწვიოთ ამ ქალაქს!

## ბედნიერ დღეს დაბადებული

ქალაქებსაც, ადამიანებივით, თავიანთი საკუთარი ბედი აქვთ. ზოგი ქალაქი უძველესია, მრავალჭირგადანახადი, გულზე ცეცხლის კოცონები ნთებია და მტრის ხელით მისი მიწა მამულიშვილთა სისხლით განბანილა. ასეთი ქალაქების ისტორია, სამყაროსავით ძველ ლეგენდებში უნდა ვეძებოთ.

მაგრამ არის ქალაქები, რომლებიც ერთ ბედნიერ დღეს დაიბადნენ და დაბადებისთანავე სულ სიხარული, სიკეთე ხვდათ წილად. ასეთი ქალაქები საბჭოთა კავშირში ბევრია. ერთ-ერთი მათგანი სუმგაითი გახლავთ. მისი წარსულის შესასწავლად არქივებში გაყვითლებული ქაღალდების ფურცვლა არ დაგჭირდებათ. მის ამბავს თვითონ ის ადამიანები მოგიყვებიან, რომლებმაც თავიანთი ძლიერი ხელებით შექმნეს იგი, დღეს მის მწვანე ქუჩებში დადიან და მის ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ. ამ ადამიანებმა, ასეთი თავდადებული შრომით, ამ ქალაქის ღირსება საქვეყნოდ გამოიტანეს. ამიტომ სუმგაითის გასაცნობად, მის ადამიანებს გავეცნოთ.

## ქალაქის უძველესი მკვიდრი

სიტყვა სხვა ქალაქზე და მის უძველეს მკვიდრზე რომ ჩამოგვეგდო, თვალწინ ან თეთრწვერა, ჯოხსდაბჯენილი მოხუცი წარმოგვიდგებოდა ან შვილიშვილებში ჩამჯდარი თმაჭაღარა ქალი. სუმგაითი სხვა ქალაქებისაგან ამითაც გამოირჩევა. მის ყველაზე ძველ მკვიდრს — ზამინა ჰასანოვას არც შვილიშვილები ჰყავს და არც შვილთაშვილები. მისი ვაჟი აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია.

ზამინა აქ რომ მოვიდა, აქაურობა ერთი უკაცრიელი მინდორი იყო და მეტი არაფერი. თუმცა ზამინა არსაიდან არ ჩამოსულა, — სოფელი ჯორათი, სადაც იგი დაიბადა თითქმის ამ ქალაქის ადგილზე იყო. ზამინა თავის ბავშვობაში ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მისი მომავალი ცხოვრება ამ უწყლო, გადაწრუკულ მიწასთან იქნებოდა დაკავშირებული და ეს მიწა მასთან ერთად სახელსა და დიდებას მოიპოვებდა.

ზამინამ სკოლა რომ დაამთავრა, ახლად აგებულ თბოელექტროცენტრალში დაიწყო მუშაობა. მაგრამ გოგონა ამ საქმეს დროებით სამუშაოდ სთვლიდა. „ცოტა ხანს ვიმუშავებ, მერე კი ვნახოთ...“ — ფიქრობდა იგი.

თანდათან ეს ნაცარა მინდვრები, სადაც ლაღი ნიავი დანავარდობდა, ისეთ მაგნიტად იქცა, რომ ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოიზიდა ხალხი. 1944 წელს პირველი ბრიგადა ჩამოვიდა 500 კაცის შემადგენლობით. კასპიის უდაბნომ თითქოს ამ ადამიანების გამოცდა მოინდომა, — მთელი თვე აღმოსავლეთის ცივი, ძლიერი ქარი — ხაზრი ჰქროდა. ციმბირელებსაც კი უჭირდათ გაძლება. სახელდახელოდ აგებულ ბარაკებს რკინის ღუმელები ვერ ათბობდა. მხოლოდ მეგობრული მხარდაჭერა თუ გაუთბობდათ გულებს. ზამინა და მისი მეგობრები ყოველნაირად ეხმარებოდნენ შორიდან მოსულ სტუმრებს. იქნებ ეს სტუმართმოყვარეობა გახდა მათი სუმგაითში დარჩენის მიზეზიც...

სწორედ მაშინ ზამინა დაიბარეს და სუმგაითის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობა შესთავაზეს.

— ამ სამუშაოზე ვერ გამოვდგები, ბავშვებთან მუშაობა ქვეყანას მირჩევნია. — ამბობდა ზამინა.

— ასეა საჭირო, ზამინა, აქაური ხარ, ყველაფერი უკეთ იცი!

„ასეა საჭირო!“ — ამ სიტყვების საწინააღმდეგო რაღა უნდა ეთქვა?! ზამინამ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა სუმგაითის ბედს.

— ზამინა, — ეხუმრებოდნენ ხოლმე მეგობარი გოგონები, — გახსოვს, სად გინდოდა სამუშაოდ წასვლა?...

— ეჰ, გოგოებო, მთელი ქვეყანა აქ ჩამოდის და სუმგაითს აშენებს, მე სადღა წავალ! — პასუხობდა სიამაყით ზამინა.

1953 წლის 31 დეკემბერს ქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია გამოუშვა. ეს დღე ზამინა ჰასანოვას ცხოვრებაში მარად დაუვიწყარ დღედ იქცა. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ზამინა მოსკოვს გაემგზავრა.

გადიოდა დრო... ზამინას სოციალისტური შრომის გმირის წოდებაც მიანიჭეს.

სამედ ვურღუნის ქუჩაზე მდებარე სამოთახიანი ბინის ფანჯრიდან ზამინა საღამოობით ხაზარის ტალღებს გაჰყურებს ხოლმე. ამ დროს თვალწინ ეშლება თავისი ცხოვრების მღელვარე წიგნი, რომლის ყოველი გვერდი ამ ქალაქის ისტორიასთან არის დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა









## მშვიდობით, მართა!

განირას გასაცილებლად თითქმის მთელი სკოლა მოსულიყო. ყოველი მათგანი გოგონას რაღაცას ურჩევდა, არიგებდა:

— ბულგარელი ბავშვების მისამართების ჩაწერა არ დაგავიწყდეს!

— რუმინულ ეროვნულ ტანსაცმელს კარგად დაუკვირდი, მეგობრობის კლუბისათვის გამოგვადგება!

— ბუდაპეშტის ხედები გადაიღე!

განირამ აღარ იცოდა, ვისთვის რა ეპასუხნა.

აი, მატარებელიც ჩამოდგა. განირა ვაგონში შევიდა და ხელის ქნევით დაემშვიდობა მეგობრებს.

ბუდაპეშტის ახლოს მდებარე საერთაშორისო პიონერთა ბანაკ „ჩელებერცში“, საბჭოთა ბავშვების გარდა, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პიონერებიც იყვნენ. აზერბაიჯანის წარმომადგენლად სუმგაითის I საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე განირა ბაირამოვა გახლდათ.

საღამოობით პიონერული კოცონის გარშემო შეკრებილი ბავშვები თავიანთი კუთხის ამბებს ჰყვებოდნენ: შავთვალა ლუჩია — ლამაზი იტალიისას, აკი — რუმინეთისას, ჟურჟა ვარდების სამშობლოს, თავის ბულგარეთს აცნობდა თანატოლებს; განირა კი — მშობლიურ, ცეცხლოვან აზერბაიჯანს! ბავშვები გულდასმით უსმენდნენ.

— აზერბაიჯანის დედაქალაქში

ცხოვრობ? — ჰკითხა განირას ბუდაპეშტელმა მართამ.

— არა, სუმგაითში ვცხოვრობ, — მიუგო განირამ, — სუმგაითი ახალგაზრდა ქალაქია, მას მეგობრობის ქალაქსაც ეძახიან, რადგან მრავალი ეროვნების ადამიანების ხელით არის ნაგები.

განირა უყვებოდა მათ სუმგაითის სკოლის, მშრომელ ადამიანთა ცხოვრების, მრავალსართულიანი სახლების, მწვანე, განიერი ქუჩების ამბებს.

ორი დღის მერე მართამ განირა განზე გაიხმო, ერთი ფურცელი გაუწოდა და ჩურჩულით უთხრა:

— აჰა, ჩემგან სახსოვრად მიიღე! ეს თქვენი სუმგაითია. მითხარი, ჰგავს?

მართას ნახატი ბუდაპეშტს უფრო წააგავდა, მაგრამ რიღაცით სუმგაითსაც მოაგონებდა კაცს. მართა ხომ არც კი ყოფილა სუმგაითში, მაგრამ განირას ნაამბობით ქალაქი შორიდანაც კარგად წარმოედგინა.

— კი, როგორ არა, ჰგავს, — მიუგო განირამ.

მხიარული დღეები თვალისდახამხამებაში გარბის. საერთაშორისო ბანაკში გატარებული დღეებიც მალე მიიწურა. განირა გულდაწყვეტილი









დაემშვიდობა ახალ მეგობრებს.

— იცი, განირა, — უთხრა მართამ განშორებისას. — თუ მხატვარი გამოვედი, თქვენს ქალაქში ჩამოვალ და მაშინ უკეთ დავხატავ.

— სუმგაითში გელი! — გულით მიიპატიჟა განირამ მეგობარი.

## პიონერული ტრადიცია

წარმოიდგინეთ, სუმგაითში ჩამოვიდა კაცი, რომელმაც ამ ქალაქის არაფერი იცის. საკმარისია, ეს კაცი ნორჩი ლენინელების საქმიანობას ოდნავ მაინც გაეცნოს, რომ უმალვე მიხვდეს, სამრეწველო ქალაქში ჩამოვსულვარო. სუმგაითელ პიონერებს თავიანთი ტრადიცია აქვთ. ისინი ყოველი წლის 8 აპრილს „შრომის დღეს“ ატარებენ.

ამ დღეს 1500 პიონერი სუმგაითის ქიმიურ კომბინატში მიემართება. ბრიგადებად იყოფიან და მუშებს შრომაში ეხმარებიან. ქალაქის მე-11 სკოლის პიონერები სუმგაითის სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში ხშირად დადიან, მოსწავლეებმა კაუჩუკის დამზადების პროცესი მშვენივრად იციან. ისინი ქარხანაში სტუმრად აღარ სთვლიან თავს; ხოლო ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ალიაღა ალიევი კი ყოველ დღე იმათ სკოლაშია. იგი ხომ ამავე დროს სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეც არის.

ამას წინათ ბავშვებმა გადაწყვიტეს შეკრება ჩაეტარებინათ თემაზე: „დრო ოქროზე ძვირფასია“. ალიაღამ ურჩია მათ, ეს შეკრება ქარხანაში ჩაატარეთო. პიონერებმა თავიანთი თვალით ნახეს, ქარხანა ერთ წუთში რამდენ პროდუქციასაც უშვებს და ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რაოდენ ძვირფასი ყოფილა თვითეული წუთი.

## მუსიკოსების ოჯახი

სუმგაითში მათს ოჯახს მუსიკოსების ოჯახს ეძახიან. ოჯახის რვა წევრიდან, შვიდი მუსიკოსია. ოჯახის უფროსი ალიფაშა დაშთამიროვი ოცდაათი წელია აზერბაიჯანის მუსიკალურ სკოლებში ასწავლის. მისი ბევრი აღზრდილი უკვე სახელმოხვეჭილი მუსიკოსია.

— მარტო დედასღა აკლია მუსიკალური განათლება, — სიცილით ამბობს უფროსი გოგონა, — მაგრამ, დედა ჩვენი მსმენელია.

— დედაც რომ მუსიკოსი იყოს, რა გვეშველებოდა, ვინღა მოგვისმენდა, — ხუმრობს ალიფაშა.

ალიფაშა, რა თქმა უნდა, ხუმრობს, რადგან დაშთამიროვებს მსმენელი არასოდეს მოაკლდებათ. მეგობრები, მეზობლები და ნათესავები სიამოვნებით იკრიბებიან ხოლმე ოჯახის მუსიკალურ საღამოებზე.

## „საბავშვო ბაღში არ დაგვიგვიანდეს“

მათანათი უკვე დიდი გოგონაა. ოცამდე თვლაც იცის, ასოებსაც სცნობს, პლასტელინისაგან ძერწვასაც ახერხებს, აი, საცაა სკოლაშიც წავა. მაგრამ მის აღმზრდელებს ისევ ახსოვთ საბავშვო ბაღში პირველად რომ მივიდა.

...მათანათის დედამ გოგონას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— შენ აქ დარჩები, ჩემო გოგო, ბავშვებთან ითამაშებ. ნახე, რამდენი სათამაშოა! მე მალე მოვალ და შინ წაგიყვან.

მაგრამ მათანათი დედას კალთაზე ჩაებღაუჭა, ხელს არ უშვებდა და ტიროდა: „დედა მინდა, დედა მინდაო“...

არც აღმზრდელების ხვეწნამ გასჭრა, არც დედის მუდარამ, მაგრამ როგორც კი ქემალეს ხელში დიდი თვალხუჭუნა დედოფალა დაუნახა, მაშინვე იქით გაიქცა. ვისაც კი რა სათამაშო ჰქონდათ, ყველამ გოგონას



მოუტანა და წინ დაუწყო. მათანათი გაერთო სათამაშოებით.

...მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ახლა მათანათი უკვე დიდი გოგოა. ყოველ დილით დედას ეუბნება:

— დედიკო, საბავშვო ბაღში არ დაგვიგვიანდეს!

## მომთაბარე ოჯახი

სოფუების ოჯახს ათი-თხუთმეტი ქალაქი მაინც გამოუცვლია. სადაც გახურებული მშენებლობაა, ესენიც იქ არიან. ბოლო დროს, გუდანაბადი კიდევ რომ აიკრეს, მეგობრები დასცინოდნენ:

— ახლა საით გაგიწევიათ?

— აზერბაიჯანში, სუმგაითში მივდივართ.

— ახლა სუმგაითელები გინდათ გახდეთ?

— არა, დიდხანს არც იქ დავრჩებით. როგორც კი მშენებლობა დამთავრდება, ისევ სხვა სამუშაოზე გადავალთ. ახალ-ახალი ქალაქების შენებას რა სჯობს! ეჰ, ამ საქმის რომანტიკა ყველას როდი ესმის!

ასე ფიქრობდა სოფუების ოჯახი სუმგაითში ჩამოსვლამდე. მაგრამ ამ საზღვაო ქალაქის სილამაზემ და მისმა სტუმართმოყვარე ადამიანებმა ამ ოჯახს თავისი აზრი შეაცვლევინა.

ახლა მათი ყველაზე პატარა გოგონა ემინა უკვე თერთმეტი წლისაა და სუმგაითშია დაბადებული. ისინი სხვაგან წასვლაზე აღარც ფიქრობენ. ამ ქალაქში, სადაც ორმოცზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, სოფუები ძალიან კარგად გრძნობენ თავს.

## „ვინც მოყვარესა არ ეძებს...“

ბოლო ხანებში ველის უგუნებობა დაეტყო. ეზოს ბავშვები ამ ამბავს ამჩნევდნენ და ძალიან სწუხდნენ, უიმისოდ თამაშს ხალისი აკლდა.

— მაშ, აღარ იტყვი, რა დაგემართა? — ველარ მოითმინა და ჰკითხა სამედმა.

— არაფერი.

— სახეზე გეტყობა, რაღაც გაწუხებს, გვითხარი.

— ეჰ, სულერთია, ვერაფერს მიშველით.

— რა მოხდა ასეთი?

— ძმა მყავს ავად.

— მერე, ექიმი არ მოიყვანეთ?

— როგორ არა, ნემსებიც გავუკეთეთ, ცოტა მოიკეთა, მაგრამ... ამბობენ, რაღაც ბალახი ყოფილა, მოადუღებთ, დაალევინებთ და ხელად მორჩებაო.

— წამო, მინდორში და მოვძებნოთ, რა ბალახია განა ისეთი?

— არა, ის ბალახი ჩვენში არ იზრდება. — უთხრა ველიმ და დაღონებულმა თავისი სახლისაკენ გასწია.

სამედი ადგილიდან არ დაძრულა. ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა მასზე.

„რით შეიძლება დავეხმარო?!“ — ფიქრობდა ბიჭი.

— ველის უგუნებობა ხომ არ გადმოგედო? — მოესმა სამედს ვალერის ხმა.

მეგობრები გვერდით მისხდნენ!

სამედმა ველის მწუხარების მიზეზი უთხრა.

— იქნებ ის ბალახი უკრაინაში იზრდება? — თქვა ვალერიმ.

— შენ რა, უკრაინაში ხომ არ აპირებ წასვლას?

— უსათუოდ მე უნდა წავიდე? იქ ნათესავები გვყავს, მივწერ და მოძებნიან.

— ყოჩაღ, მე ვერც კი მოვიფიქრებდი. ხედავ, რა კარგია ჩვენს ეზოში სხვადასხვა ეროვნების ბავშვები რომ ცხოვრობენ, ზოგს რომელ ქალაქში ჰყავს ნათესავი, მეგობარი თუ ნაცნობი, ზოგს რომელში...

— მოდი, ახლავე მოვილაპარაკოთ და ყველამ თავთავიანთ ნაცნობებს მისწერონ.

იმ საღამოს ბიჭებმა ეზოში მოიყარეს თავი. ისინი არც თამაშობდნენ, არც იცინოდნენ და არც საუბრობდნენ. ყველას ჩაფიქრებული სახე ჰქონდა. სამედი ქაღალდზე წერდა...

გავიდა სამი დღე, ბავშვები ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, პირველი კითხვა ეს იყო:

— არაფერია ახალი?

— არა, პასუხი არა ჩანს.

პირველი სასიხარულო ამბავი ვალერიმ მოიტანა.

— სამედ, სამედ! — დაიძახა ვალერიმ ეზოს ჭიშკრიდანვე და სამედს რაღაც შეკვრა უჩვენა.

— მოვიდა? — ჰკითხა გახარებულმა სამედმა. — ვადიმმა გამოგიგზავნა?

— გამოგზავნით იმან გამომიგზავნა, მაგრამ სხვას უშოვნია მისთვის.

— ვერ გავიგე, კარგად ამიხსენი!

— იცი რა, თურმე ეს ბალახი არც უკრაინაში იზრდება. ვადიმმა ამხანაგს მისწერა ურალში, იმ ამხანაგს ნათესავისთვის მიუწერია ვლადივოსტოკში. ბოლოს, ვლადივოსტოკიდან — ურალში გამოუგზავნიათ, ურალიდან ვადიმს გაუგზავნეს და იმან კი ჩვენ გამოგვიგზავნა.

ველის ოჯახმა კიდევ რამდენიმე ასეთი ამანათი მიიღო. ყოველი მათგანი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან იყო გამოგზავნილი.

აი, ასეთია მეგობრობის ძალა!







ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბილიკები

ბილიკებით
გზას მიიკვლევს
ტყეში
მგზავრი
ჩინებულად.
ზოგან კიდეც
ბილიკები
გადა-
ჯვარე-
დინებულა.

ცის ტატნობი
ძლივსღა
მოჩანს,
ირგვლივ
ყველგან
ხეებია.
ბილიკები...
თითქოს გზების
გამოწვდილი
ხელებია.

**ე. ჯაფარლი.**



საბარგო მანქანაში.

რასულ ხალილოვი
8 წლის.
ქ. ნახჭევანი.




მესაზღვრის დილა.

აშოტ ანტონოვი. 7 წლის.

გამარჯვებულნი.

იუსური მამედოვი. 8 წლის



## სამშობლო

შემოვიარე
ეს ქვეყანა,
რადგან გულს
სურდა.
შევყრილვარ დღეებს
უნეტარესს.
დღეებს დაზაფრულს,
მაგრამ სამშობლოს
ნისლიანი
რიჟრაჟი თუნდაც,
მე მირჩევნია
უცხოეთის
ათას გაზაფხულს.

**ნაბი ხაზრი.**



# ზღვის ვარსკვლავები

ხალიდა
ჰასილოვა

მხატვარი
ე. დადაშოვი

მოთხრობა

შირინი, ასე, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის შავგვრემანი ბიჭი იყო. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მეთევზეებთან სამუშაოდ მივიდა. ჩამომავლობითაც მეთევზე იყო და სულითაც. მისმა პაპამაც და მამამაც ამ ასაკიდან დაიწყეს მეთევზეობა. ისინი ზღვის პირას დაიბადნენ და ზღვამ იხმო.

შირინს მამამ თავისი სახელი დაარქვა, თვითონ მამას კი შირინის პაპის სახელი ერქვა. ერთ ოჯახში სამი შირინი იყო. მაგრამ სოფელში ამ სახელს არც ერთს არ ეძახდნენ. ზედმეტი სახელი ჰქონდათ შერქმეული: „სამი სართული“. ეს ამბავი არც შირინის პაპას სწყინდა და არც მამას, თვითონ მას კი გაგონებაც არ უნდოდა.

— რაც მქვია, ის დამიძახეთო. — ეუბნებოდა ყველას.

— შენ რომ დაგიძახო და პაპაშენი მოვიდეს? მერე? — ეხუმრებოდნენ ბიჭები.

ვინ უყურებდა შირინის გაბრაზებას. ამ ზედმეტ სახელს ისე შეეჩვივნენ, სხვა სახელი ვერც წარმოედგინათ. პაპას მაღალ სართულს ეძახდნენ, მამას — შუალას, ხოლო პატარა შირინს — დაბალ სართულს. შირინი სამუშაოდ რომ გავიდა, მეთევზეებმა იხუმრეს: „აი, ერთი სართულიც მოემატათო“.

ეს დღე შირინს ძალიან კარგად დაახსომდა.

მეთევზეები დილაადრიან ზღვაზე გავიდნენ. წყალი ტყვიისფერი იყო. ის ადგილი, სადაც ზღვის ჰორიზონტი მთავრდება, წითლად შეღებილიყო. მეთევზეთა თქმით, იმ დღეს მზე არ უნდა ამოსულიყო. წითელი ფერი თანდათან გაუფერულდებოდა.

ასეც მოხდა. ცოტა ხანში ზღვასა და ცას ერთი ფერი დაედო. ვეღარც გაარჩევდით, სად თავდებოდა ზღვა და სად იწყებოდა ცა.

ციოდა. შირინს ლოყები აუწითლდა. მეთევზეთა გემი ზღვის შუაგულში მიდიოდა. ნაპირი თვალთაგან დაიკარგა. ირგვლივ წყლის მეტი აღარაფერი ჩანდა. მეთევზეები კი ბადის სროლას ჯერ არც ფიქრობდნენ. ყველანი ბრიგადირ აბასის გარშემო შემოკრებილიყვნენ და მის საუბარს მთელი გულისყურით უსმენდნენ. გემბანზე დაყრდნობილი შირინი სივრცეს გაჰყურებდა, დროდადრო მათ სიცილზე მოიხედავდა ხოლმე. აბასს თვითონ ისე დარბაისლურად ეჭირა თავი, თითქოს ის არაფერ შუაში ყოფილიყოს.

აბასს მეტისმეტად გრძელი ხელ-ფეხი ჰქონდა, ფეხმორთხმით რომ ჯდებოდა, ძლივს მოკალათდებოდა ხოლმე. გამხდარი სახე სულ უღიმოდა. ქუდით ჯერ არავის უნახავს, შემოდგომობით თმაზე ერთთავად წვიმა დასდიოდა, ზამთრობით კი — თოვლის ქულა ედო. არ იბერტყავდა თავიდან თოვლს. „ხელი არ უწვდება“, — ხუმრობდნენ ამხანაგები.

„თავი რომ დავხარო, ცა ხომ თავზე დაგემხობათო“, — ხუმრობითვე უპასუხებდა აბასი.

გემი წინ მიიწევდა. აბასმა ჰაერი შეისუნთქა და თქვა:

— ნავთის სუნი მომდის, „ნავთის ქვებს“ ვუახლოვდებით.

შირინმა ვერაფერი გაიგო. ზღვიდან მართლაც მოდიოდა ნავთის სუნი. ირგვლივ შემოატარა თვალი. წყლის მეტი არაფერი მოჩანდა. გემის თავზე თოლიები დაფრინავდნენ. უცებ კაპიტნის ხმა შემოესმა:

— „ნავთის ქვებს“ ვუახლოვდებით.

აბასი ფეხზე წამოხტა, დანარჩენებიც მიჰყვნენ.

— მოემზადეთ! — თქვა აბასმა.

ხუთი-ექვსი კაცი მარცხენა მხარეს წავიდა, შირინიც მათ გაჰყვა.

უეცრად შავი კლდეები გამოჩნდა. შორიდან ზღვის ლომებს ჰგავდნენ. შირინი მიხვდა, ალბათ ეს არის „ნავთის ქვებიო“. წყლის ზედაპირზე ნავთის მრავალფერი ლაქები შენიშნა. ბიჭს ეგონა, ნავთი ამ ქვებიდან გამოდისო.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ კლდეებს, ნავთის ლაქები უფრო და უფრო დიდდებოდნენ.

აი, ისინი უკვე „ნავთის ქვებთან“ არიან. გემმა სიჩქარეს უკლო. მეთევზეები რკინის მოაჯირს გადაეყუდნენ და წყალს ისე ჩააჩერდნენ, თითქოს ზღვის ფსკერზე რაღაცას ეძებენო.

— რას ჩასცქერიან, აქ რა უნდა იყოს? — ჰკითხა შირინმა გვერდით მდგომ ახალგაზრდა მეთევზეს.

— ამ ადგილებში წყლის ქვეშ ბევრი კლდეა, — აუხსნა მეთევზემ. — გემი რომ დაეჯახოს, დაიმსხვრევა.

— მერე ამ კლდეების დანახვა თვალით შეიძლება?

— დარში ჩანს, ასეთ დღეებში კი საშიშია, არა ჩანს, თვალის დახამხამებაში ფსკერზე მოგადენინებს ბრახვანს. ამიტომ ფრთხილად გავდივართ. იცი, რამდენი გემი დაღუპულა აქ! ერთი დაღუპული გემის ანძა ჩემი თვალით ვნახე.

— მეთევზეთა გემი იყო? — შეშფოთებით ჰკითხა შირინმა.

— შენც თქვი რა! დიდ გემებზე გეუბნები. ქარიშხლიან დღეებში ზღვაზე თვალში თითს ვერ მიიტან. ტალღები მოწყვეტილი მთებივით მოდიან, ასეთ დროს ქარმა გემი აქეთ რომ გადმოაგდოს, მისი ბედი განწირულია. კაპიტნებს აქეთ გამოვლისა ეშინიათ. „ნავთის ქვების“ ხსენება ყველას შიშის ზარსა სცემს...

— მოემზადეთ! — გაისმა ბრძანება და ახალგაზრდა მეთევზეს სიტყვა პირზე შეაცივდა, — ბოლო კლდეს გავივლით თუ არა, — ბადე უნდა ვისროლოთ!.

როგორც კი ბოლო კლდე გაიარეს, ბადის მსროლელი ძრავის ხმა გაისმა. გემის გასწვრივ გაშლილი ბადე თანდათან ზღვამ დაფარა. ჩარხის ჭრიალი კიდევ ისმოდა.

ნახევარი საათის შემდეგ გემმა ღუზა ჩაუშვა. აცივდა. ამ სიცივეში გემბანზე დგომა შეუძლებელი იყო. ვიღაცამ თქვა „ნავთის ქვებზე“ წავიდეთ და იქ გავთბეთო. ეს აზრი ყველას მოეწონა.

ორი პატარა ნავი გემიდან წყალში გადაუშვეს. მეთევზეები ნავებზე გადასხდნენ. შირინიც მათ გაჰყვა, ყველაზე დიდ კლდეს რომ მიუახლოვდნენ, თითო-თითოდ გადავიდნენ. ჯალალმა ასანთი გაჰკრა და კლდის ნაპრალში ჩააგდო. ნაპრალიდან ხმაურით ავარდა ალი. შირინს ძალიან გაუკვირდა. „ნაპრალში ნეტავ რა იწვისო“, — გაიფიქრა.

მეთევზეები ცეცხლს გარსშემოეხვივნენ, შირინი ნაპრალიდან ამოსულ ალს თვალს არ აშორებდა.

— გაზი იწვის, — აუხსნა ჯალალმა.

— გაზი? — გაუკვირდა შირინს!

— ჰო, ნამდვილი გაზი, ნავთის გაზი.

სულ მალე მთელი კლდე გათბა. ახლა გამთბარ კლდეზე დაჯდომაც კი შეიძლებოდა.

მეთევზეებმა ნაპრალზე ჩაიდანი დადგეს. წუთში ჩაიდანში წყალი აშიშინდა და ადუღდა.

ასეთი გემრიელი ჩაი შირინს შინაც არ დაულევია.

ეს დღე შირინის ცხოვრებაში დაუვიწყარი დღე იყო, — იგი პირველად გავიდა ზღვაზე.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ახლა შირინი „ნავთის ქვებს“ ხელისგულივით იცნობს. თვითონაც ისვრის ბადეს ზღვაში, ყველაზე წინ მიდის „ნავთის ქვებზე“ და მეთევზეებს ჩაის უმზადებს.

ეს პატარა შავი „კუნძული“ მეთევზეების დასასვენებელ ადგილად იქცა. დიდი გემები კი დიდი სიფრთხილით უვლიდნენ გვერდს ამ შავ კლდეებს.

ერთხელ მეთევზეებმა „ნავთის ქვებთან“ ხალხი შენიშნეს. ისინი ბანაკს აწყობდნენ. არც ერთი მათგანი მეთევზეს არ ჰგავდა. ნეტავ ვინ უნდა ყოფილიყვნენ, იმ კუნძულზე რა სამუშაო უნდა შეესრულებინათ?!.

მეთევზეებმა ბადე ისროლეს და, ჩვეულებრივ, დასას-



11.301

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვენებლად „ნავთის ქვებზე" ავიდნენ. შირინიც მათთან იყო. აქ მომუშავე ხალხს მეთევზეების დანახვა გაუხარდა. საუბრისას გამოირკვა, რომ ისინი მენავთობეები ყოფილიყვნენ. მათ შორის ერთი ჭაბუკიც ერია, რომელიც შირინზე რამდენიმე წლით იქნებოდა უფროსი.

ორი დღის შემდეგ მეთევზეებმა იქაურობა ვერც კი იცნეს. კლდეზე ჭაბურღილი აღემართათ, დიდი ძრავები გუგუნით მუშაობდნენ. კლდის ძირას გემების მისასვლელად ხიდი გაედოთ. ახლა მეთევზეებს დიდი გემებითაც შეეძლოთ აქ მოსვლა.

შირინი თვალს არ აშორებდა მენავთობეებს, გულის სიღრმეში კიდევაც შურდა იმ ახალგაზრდისა, ყურბანი რომ ერქვა „რა თქმა უნდა, მენავთობეობა მეთევზეობას ასჯერ სჯობს".— ფიქრობდა გულში შირინი.

ერთხელ შირინმა ყურბანს გულისწადილი გაანდო: — თქვენთან მინდა მუშაობაო. ყურბანმა ურჩია, ჯერ სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრე, თუ გინდა, რომ ეს სამუშაო არ გაგიძნელდესო.

შირინმა მთელი ღამე თეთრად გაათენა. ბოლოს გადაწყვიტა, ბრიგადირ აბასისთვის გაემხილა ყოველივე.

დილაადრიანად შირინმა მეთევზეთა დასახლებაში აბასი მონახა.

— წასვლას ვაპირებ. — უთხრა მორცხვად შირინმა.

— „სამსართულიანი სახლის" დანგრევა აფსუსი არ არის? — გაეხუმრა აბასი.

შირინმა საქმიანი გამომეტყველება მიიღო.

— სახელოსნო სასწავლებელში უნდა ვისწავლო, მენავთობე უნდა გამოვიდე.

აბასი ჩაფიქრდა. მერე გაიცინა:

— ძალიან კარგად მოგიფიქრებია. გეტყობა, „სართულების" გზით სიარული ხელს არ გაძლევს. შენ მოიფიქრე თუ სხვამ ჩაგაგონა? ურიგოდ არ გიფიქრია, რომ არ მერიდებოდეს, მეც სიამოვნებით გავხდებოდი მენავთობე!

— ვაითუ მამა ვერ დავითანხმო, — ამოიოხრა შირინმა.

— ნუ გეშინია, დავითანხმებთ, — აბასმა თავისი გრძელი ხელი შირინს თავზე გადაუსვა.

ნაშუადღევს შირინმა ეს ამბავი მამას უთხრა.

მამა, ბრიგადირისა არ იყოს, ჯერ ჩაფიქრდა და მერე ჰკითხა:

— მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი?

— სულითა და გულით მინდა.

— უნდა იცოდე, შვილო, ზღვაზე მუშაობა ადვილი საქმე არ არის. არ მინდა შეგაშინო, მაგრამ თუ გულით გწადია, ყველა სიძნელეს გადალახავ. ახლა რა გჭირდება?

— ჯერჯერობით არაფერი, ხვალ ქალაქში უნდა წავიდე და სასწავლებლის ამბავი გავიგო.

•

ბაქოს პორტიდან გემი გავიდა. ზედ უმრავლესობა „ნავთის ქვებზე" მომუშავენი იყვნენ. შესვენებიდან ისევ სამუშაოზე ბრუნდებოდნენ. შირინიც მათთან იყო. დიდ კლდეზე ამართული ჭაბურღილი ნელა მუშაობდა. კლდის გვერდით, წყალში, შვიდი გემი იდგა. იქ მუშების სასადილოები და საცხოვრებელი ბინები იყო მოწყობილი. შირინს ამ გემების ამბავი ერთმა მუშამ უამბო: ეს გემები თურმე ბაქოს პორტში უსარგებლოდ იდგნენ, ადგნენ და აქ მოიტანესო. ბევრს ეგონა, გზაში ჩაიძირებოდა და აქამდე ვერ მოაღწევდა, მაგრამ მარჯვე კაპიტანმა მშვიდობიანად მოიყვანა, კაიუტები შეაკეთეს; ზოგი საძილე ოთახად აქციეს, ზოგი სასადილოდ მოაწყესო.

გემებს მისადგომებიც ჰქონდა. შირინი გემბანზე ავიდა და ყურბანს გასძახა.

— უკვე მოხვედი? — გაუხარდა ყურბანს და შირინი ოსტატთან მიიყვანა, გააცნო.

...იმ ღამეს ზღვაზე ქარი ამოვარდა. ქარი შუაღამისას უფრო და უფრო გაძლიერდა. ილუმინატორის შუშაზე მიხეთქებული ტალღების ხმაური იქაურობას ახმიანებდა. გემები ირწეოდნენ. შირინი ლოგინზე წამოჯდა და გვერდით მძინარე მუშას გახედა. იგი მშვიდად ფშვინავდა.

ზღვის სუნი ძველი გემის ბზარებში შემოდიოდა. რომელიღაც მუშა ხვრინავდა, მისი ხმა ზღვის ტალღების დგაფუნს ერწყმოდა. ვიღაცის საათს ტკაცატუკი გაჰქონდა.

შირინს ეგონა საცაა გათენდებაო, მაგრამ ყველას ისე ტკბილად ეძინა, ეტყობოდა, გათენება ჯერ კიდევ შორს იყო. არ უნდოდა საათზე დაეხედა, შუქი რომ ავანთო, ამხანაგები გაიგებენ და დამცინებენ, შირინი ქარიშხალმა შეაშინაო. თავი ბალიშზე მიდო და ჩაეძინა.

შირინს მუშების ხმაურზე გამოეღვიძა. ისინი უკვე წასასვლელად ემზადებოდნენ. შირინმაც ჩაიცვა...

— აბა, ბიჭებო, თბილად ჩაიცვით! მაგარი ქარიშხალია. —- გააფრთხილა ოსტატმა. — თუ ვისმეს მოკლე ლაბადა აქვს, ამ ბიჭს ჩააცვით, მოვბრუნდებით და საწყობიდან გამოვუტან.

— მე მაქვს, — წამოიძახა ვასიამ, — მაგრამ მგონი დიდი მოუვა.

ვასიამ ვიწრო ხის კიბე ჩაიარა და შირინს ლაბადა ამოუტანა.

ჰორიზონტზე ნელ-ნელა ნათდებოდა. ყველანი ძრავიან ნავში ჩასხდნენ, ტალღები სახეში სცემდათ. ნავის ამგვარი რწევა შირინს ჯერ არ ენახა. ოსტატმა გამომცდელად გადახედა.

ნავი ჭაბურღილს უახლოვდებოდა. ტალღები წინსვლას ხელს უშლიდა, კატასავით ეთამაშებოდა.

ოსტატი დუმდა. ლაბადის მაღალ საყელოში თავი ჩაემალა და ჭაბურღილისაკენ გაჰქცეოდა მზერა. „ნავთის ქვები“ შორს მოეტოვებინათ. აღარც იქ მომუშავენი მოჩანდნენ.

ნავი ჭაბურღილს მიუახლოვდა. მაგრამ მთავარი სირთულე ამის მერე იწყებოდა. ძალიან საშიში იყო ჭაბურღილის რკინის ბოძებთან მიახლოვება. ქარს შეეძლო ნავი ამ ბოძებზე მიეხეთქებინა და დაემსხვრია.

ნავი ჭაბურღილს გარშემო უვლიდა. ახლოს ვერ ეკარებოდა. მიახლოებისას ტალღები ისევ უკან აგდებდნენ. რაკი მიხვდნენ ბოძებთან ახლოს მისვლა შეუძლებელიაო, გადაწყვიტეს: მივიდოდა თუ არა ნავი, თითო-თითოდ, პირდაპირ ბოძზე გადამხტარიყვნენ.

შირინის ჯერიც დადგა.

შირინმა ლაბადა გაიხადა და ბოძზე აცოცებულ ამხანაგს გადაუგდო, მერე ძალა მოიკრიბა და ოსტატის ბრძანებას დაელოდა. ძლიერმა ტალღამ ნავი ბოძს მიუახლოვა თუ არა, ოსტატის ხმაც გაისმა.

— აბა, გადახტი, მარდად!

შირინი კატასავით ჩაებღაუჭა ბოძს. მუშებიც მიეშველნენ. ნავში მარტო ოსტატიღა დარჩა. ჯერ სურსათით სავსე ბოხჩა გადააგდო, მერე თვითონაც გადახტა.

— პირველი გამოცდა კარგად ჩააბარა! — თქვა ოსტატმა, მერე ვნახოთ...

— ვინც ჩემს ლაბადას ჩაიცვამს, გამოცდას უსათუოდ ხუთზე ჩააბარებს,.—- იხუმრა ვასიამ.

უცბად ჩრდილოეთიდან ისეთი ძლიერი ტალღა მოვარდა, მუშები კინაღამ ზღვაში გადაყარა. ოსტატს დროზე რომ არ გაეფრთხილებინა, ყველანი ზღვაში ჩაყურყუმალავდებოდნენ. ვისაც რა მოხვდა ხელთ, მაგრად ჩაებღაუჭნენ და გადარჩნენ. ტალღამ თავზე გადაუარათ. ოსტატს ყველაზე მეტად შირინის დარდი ჰქონდა.

ცოტა ხნის მერე ჭაბურღილზე მუშაობა გაჩაღდა. ძრავის გუგუნი ზღვის ხმაურს ერთვოდა და შრომის ახალ სიმფონიად გაისმოდა. ოსტატი შირინს გვერდიდან არ იშორებდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა.



კოსმოსში.

არიფ ასქეროვი.
9 წლის.

# თელა

ერთ ღამეს ისეთი ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ჭადარი კინაღამ ძირფესვიანად ამოაგდო. ასეთ ქარიშხალს ჯერ არასოდეს მოსწრებოდა. ნორჩ ჭადარს აქამდე ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ახლა კი, ქარი შემოუბერავდა თუ არა, ხან აქეთ იზნიქებოდა საცოდავად და ხან — იქით. ბოლოს თავი ველარ შეიმაგრა და მიწამდე დაიხარა.

ჭადარმა იგრძნო, რომ იღუპებოდა. ვინ იყო მშველელი? უცბათ ქარმა ისე შემოუბერა, რომ ჭადარი ისევ წელში გასწორდა და გვერდით მდგომ მსხვილ თელას შემოეხვია.

ჭადარმა სული მოითქვა, თელას კი თავის გაჭირვებაც ჰყოფნიდა, მაგრამ ნორჩ ჭადარს მაინც გადააფარა თავისი ტოტები. კიდევ კარგი, მიწაში ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და ესა შველოდა.

გათენებისას ქარიშხალი ჩადგა. ნორჩი ჭადარი ისევ წელში გაიმართა ამაყად, ტოტებდალეწილ თელას კი ერთიც არ გადახედა!

**სულეიმან ნარიმანოვი.**

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

## საქართველო გვიყვარდეს

ეს ანბანი, ეს წიგნები —
ნაწერები ქართული,
მათი შუქი, მათი მწუხრი
გულის ძარღვში ჩართული,
ვარძია და უფლისციხე,
იყალთო და გელათი,
გალავნები, გუმბათები,
ჩუქურთმები ფერადი,
თქმულებები, ძილშიც სიზმრად
გაყოლილი დილამდე, —
ყველაფერი გვეუბნება:
— საქართველო გვიყვარდეს!
მთები, მთები, ველ-მინდვრები,
შევარდნები ფრთამალი,
მეფოლადე, მხვნელ-მთესველი,
მისი ჰარიჰარალი,
ჯეჯილები, ვენახები,
წყაროები ჩხრიალა,
სამეგობრო თბილი სუფრა,
დასაცლელი ფიალა,
რიონის და მტკვრის დუღილი,
მათი ელვა, სიმარდე, —
ყველაფერი გვეუბნება:
— საქართველო გვიყვარდეს!
ნუ მოშლოდეს მის მიწა-წყალს
მოძმე ქართველის,
მისი პური, გულუხვობა,
სიყვარული, სათქმელი.
საუკუნე საუკუნეს
წინ დიდებით მიჰყავდეს,
ყოველ დროში გაისმოდეს:
— საქართველო გვიყვარდეს!

ემზარ კვიტაიშვილი

## ამრავლე და აჯანმრთელე

მომავალი მას ეკუთვნის,
ვინც სიკეთეს ქვეყნად თესავს.
მისი არის ცა და მიწა,
ვინც სიცოცხლეს მატებს ფერსა.

დამიჯერეთ,
დაიხსომეთ,
ჩემო ლალი, ჩემო კობა,
შრომაც გვინდა, ჩვენს სამშობლოს
მარტო სწავლა რას ეყოფა.

# არაკები

## ვაი სიმართლისაგან



მეფემ ორი ვეზირი მოიხმო და უბრძანა:
— წადით, მოიარეთ ჩემი სამეფო და მამცნეთ, როგორ ცხოვრობს ხალხი... ისიც შემატყობინეთ, ჩემი მადლობელია იგი თუ უმადური.

ვეზირები წავიდნენ, მოიარეს მთელი ქვეყანა, მერე უკან დაბრუნდნენ, რათა მეფისათვის სიმართლე მოეხსენებინათ.

ჯერ ერთი ვეზირი შეიყვანეს მეფესთან, მან მოახსენა:

— დიდო მბრძანებელო, მებატონეთა და მოხელეთა წყალობით მდაბიონი ტანჯვა-გოდებაში ატარებენ სიცოცხლეს. — მეფეს ამ სიტყვებზე სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ როცა ვეზირმა დააბოლოვა, — გაწამებული ხალხი უბედურების მიზეზად შენ გთვლის და სამარადჟამოდ წყევლა-კრულვას გიგზავნისო, — მეფემ წარბები შეიკრა და მცველებს უბრძანა ბორკილები დაედოთ ვეზირისათვის.

ბრძანება უმალ შესრულდა. მეფესთან ახლა მეორე ვეზირი შემოიყვანეს. მან დაინახა ბორკილდადებული ამხანაგი და მოახსენა მეფეს:

— დიდო მეფეო, თქვენს სამეფოში განცხრომით ცხოვრობენ დიდებულნი, ხოლო მდაბიონი ლოცვას გწირავენ. ისინი დიდად მადლობელნი არიან თქვენი და განგებისაო...

მაშინ იქვე მდგომმა ბორკილგაყრილმა ვეზირმა ვეღარ მოითმინა და იყვირა:

— ღმერთო დიდებულო, ასეთი ტყუილი რამ ათქმევინა!..

— შენმა უბედურებამ, — ჩაილაპარაკა ვეზირმა და მეფის უხვი წყალობით დაჯილდოებულმა დატოვა დარბაზი.

## ნიჩაბი

ერთ სოფელში ჭკუითა და სიკეთით განთქმული კაცი ცხოვრობდა. იმ მხარეში მას ყველა პატივს სცემდა. ერთხელ შორეული სოფლიდან ვიღაც ახალმოსახლე მოვიდა და კეთილი კაცის მეზობლად დასახლდა.

მეტი მოჰყვეს ხელს ბარაქა,
მეტი ჩაი,
მეტი ჯართი!
არ გვაწყენდა კიდევ მეტი
,,ხუთიანი" და... ნავარდი.

ვქმნათ საქმენი საგმირონი, —
წინაპარი აღსდგეს მკვდრეთით.
სიკვდილის და შურის გარდა
ყველაფერი იყოს მეტი.

უფრო მეტი დავამწიფოთ
სიმინდის და პურის ყანა;
მტერს რომ თვალი დაუყენოს,
ხვავი დავდგათ იმისთანა...

იმრავლე და იჯანმრთელე,
ჩვენო დედავ,
ჩვენო მხსნელო,
უთვალავი ამწევებით
მოფენილო საქართველო!

ქეთევან კვინტრაძე

## შინმოუსვლელის დედა

თალხი კაბა და
ჩამჭკნარი ლოყები,
უძილო ღამე და
ცდა...
კედელზე, კალთაშიც
ვაჟკაცის სურათი,
კონვერტის ყვითელი
ყდა.
ჩუმი დარდი და
უთქმელი ნაღველი,
დღეების, თვეების თვლა,
ტუჩების თრთოლვა და ნაოჭთა
სიმრავლე
უმიჯნო ლოდინით წვა.
ბოლო წერილში — ,,ჩვენ
გავიმარჯვებთ" —
ვაჟკაცის მართალი თქმა;
და ისევ სურათი, რწმენა და
იმედი.
შავი, ხუჭუჭა თმა.
ხელების კანკალით სურათის ალერსი,
რა დააძინებს, რა?!
შინმოუსვლელზე მიმქრალი
იმედი,
და ისევ ცრემლების ზღვა.
და ისევ დღეები,
და ისევ თვეები
და უსასრულო თვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

ზამთარი იყო. კეთილმა კაცმა ეზოდან თოვლის გასახვეტად ნიჩაბი სთხოვა ახალმოსახლეს. ახალმოსახლემ ნიჩაბი ათხოვა, მეორე დღეს კი მეზობელს კარზე მიადგა და ნიჩაბი მოჰკითხა:

— ნიჩაბი რომ არ დამიბრუნე, კი არ მიჩუქებია შენთვის...

— მეზობელო, დამნაშავე ვარ შენთან, — უპასუხა კეთილმა კაცმა, — შენი ნიჩაბი გამიტყდა, ორიოდე დღეს თუ მადროვებ, ახალს გიშოვნი.

— შენ რომ ნიჩბის შოვნის შნო გქონდეს, საკუთარი ნიჩაბი გექნებოდა. — უკმეხად უპასუხა ახალმოსახლემ.

შეწუხდა კეთილი კაცი. წავიდა და, სად იყო და სად არა, ახალი ნიჩაბი უშოვნა მეზობელს.

მეზობელმა ნიჩაბი არ მიიღო — ჩემი ცუდი საქონელი მირჩევნია სხვის კარგსაო.

კეთილმა კაცმა ნიჩაბს კარგა ბლომად ფული დაასართა და კვლავ შეაძლია მეზობელს. მაგრამ მეზობელი უფრო გაგულისდა, დაიჟინა, გინდა თუ არა, ჩემი ნიჩაბი მომიტანეო.

კეთილმა კაცმა ნიჩაბს ერთი ცხვარიც დაასართა, მაგრამ მეზობელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — არა და არ მიიღო ერთიათად ბოძებული საზღაური. დარწმუნდა კეთილი ადამიანი, რომ ვერაფერს გააწყობდა გაჯიუტებულ კაცთან, შევიდა სათონეში, მეზობელს მისი მთელი ნიჩაბი გამოუტანა და უთხრა:

— რადგან შენს ნიჩაბზე უკეთესი არაფერი ყოფილა, მიიღე იგი, ამის შემდეგ შენგან არაფერს ვითხოვ, რადგან შემთხვევით წახდენილს შენს მცირე რამესაც კი, სხვისი უკეთესი ვერ ზღავსო...

ამ სიტყვებზე ნიჩბის პატრონი შეცბა. აღარ ეწადა თავისი ნიჩბის დაბრუნება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ბუტბუტით გაემართა შინისაკენ: „ცხვარსა და ახალ ნიჩაბს მუქთად ვშოულობდი და კიდევ მეტის გამოძალვას ვფიქრობდი, ახია ჩემზეო".

თავისი სახლის ეზოში რომ შევიდა, გაგულისებულმა ნიჩაბი ღობის ბოძს დასცხო და ნაფოტებად აქცია.

კეთილი კაცი კი შინ შევიდა და თავის ოჯახის წევრებს მოახსენა, უკვე გავიცანი ჩემი ახალი მეზობელიო.

**თენგიზ პაპურაშვილი.**

მხატვარი გ. ფოცხიშვილი





# მოდინახე

## პასუხი № 1-ში მოთავსებულ კითხვებზე

ზემო იმერეთში, მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც ქალაქი საჩხერეა გაშენებული, მაღალი კლდის ქიმზე დაფუძნებულია გვიან ფეოდალური ხანის ციხე მოდინახე.

1967 წლის ზაფხულში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა ციხის სამხრეთით მდებარე ფერდობში რამდენიმე ნივთი და ჭურჭლის აუარებელი ნატეხი შევაგროვეთ. აქ აკრეფილი სამეთუნეო ნაწარმის ნამუსრევი მიუთითებდა, რომ მოდინახეს შემოგარენში მიწის ფენები ხსოვნას ინახავდა ჩვენი შორეული წინაპრების შესახებ.

დალეწილსა და გაფერმკრთალებულ თიხის ნატეხებს არა ერთი და ორი მეცნიერი დაუყენებია მსოფლიოს უდიდეს აღმოჩენათა კვალზე.

მეორე დღეს ექსპედიციის წევრი, არქიტექტორი შალვა გოგოლაძე მიწაში ლათინური ასოებით დანომრილ პალოებს ასობდა და მოდინახეს ქვა-ღორღიან ფერდობებზე თავისებურ ბადეს ქსელავდა. ბადის საშუალებით არქეოლოგები ზუსტად მონიშნავენ ხოლმე მონაპოვართა ადგილმდებარეობას. ეს ისევე საჭიროა მეცნიერებისათვის, როგორც არქეოლოგიური აღმოჩენებისათვის ბარი და წერაქვი.

მოდინახე სათავადო ციხე იყო, იგი XVIII საუკუნეში აუშენებია პაპუნა წერეთელს.

ხალხში შემონახული ლეგენდა ციხის აშენების ამბავს ასე მოგვითხრობს: წერეთელს თავად დავით აბაშიძის ლამაზი ასული შეჰყვარებია და მისთვის დამოყვრების სურვილი გაუმხელია. დავითს სასიძო დამამცირებელი სიტყვით გაუკილავს — „ციხის არამქონე წერეთელს ქალს არ მივცემო“. ამხედრებულან საწერეთლოს აზნაურები. შეურაცხყოფილებს აბაშიძეზე გალაშქრება მოუნდომებიათ, მაგრამ ისინი პაპუნა წერეთელს დაუმშვიდებია. „ძმათა სისხლის ღვრას ოფლის დაღვრა სჯობსო“, — უთქვამს და ციხის მშენებლობა დაუწყია. მშენებლობა რომ დასრულებულა, აბაშიძისათვის კაცი გაუგზავნია და შეუთვლია, „მოდი, ნახეო“. ამის შემდეგ დარქმევია ციხეს მოდინახე. აბაშიძე მოუხიბლავს მკვიდრად ნაშენ უზარმაზარ ციხეს და წერეთელი დაუმოყვრებია. ამ გადმოცემაში სიმართლის ანარეკლი შეინიშნება. იგი ლამაზად, მაგრამ გულუბრყვილოდ გადმოგვცემს მშენებლობის ამბავს. სინამდვილეში, ციხის მშენებლობა მაშინ არსებულმა პოლიტიკურმა მიზეზებმა განაპირობა. მეთვრამეტე საუკუნეში, იმერეთის მეფის კარზე აღზევდა და ფართო სარბიელზე გამოვიდა საჩხერელი წერეთლების შტო. ამ გვარის წარმომადგენელმა ზვიადმა ფეოდალმა პაპუნა წერეთელმა იგრძნო, რომ საკუთარი სათავადო ციხის გარეშე თვითონ არაფერს წარმოადგენდა და საჩხერის მახლობლად მიუდგომელი კლდის წვერზე ააგო ძლიერი ციხე-სიმაგრე. ეს ამბავი იმერეთის მეფის ალექსანდრეს დროს უნდა მომხდარიყო, 1721-1751 წლებს შორის.

მოდინახე მიუდგომელსა და აუღებელ ციხეს წარმოადგენდა, იგი ქვეყანას იცავდა გარეშე მტერთა შემოსევებისაგან. ახსოვს აგრეთვე მოძმეთა შორის გამართული რამდენიმე სისხლიანი ომი, რომლებიც ფეოდალთა უგნურობისა და ბოროტების წყალობით ხდებოდა. ასეა თუ ისე, ამ ციხეს ორნახევარი საუკუნის ისტორიული წარსული აქვს.

ახლა ქვაღორღიან თხრილში, რომელიც ფერდობს განივად ჭრის, იშლება მოდინახეს შორეული ისტორიის პირველი ფურცელი. მუშები ყოველ ნაბიჯზე პოულობენ თიხის ჭურჭელს, ლითონის წარმოების ნაშთებს, ბრინჯაოსა და რკინის იარაღებს. პირველი ფენა ,რომელიც მიწაში ერთი მეტრის სისქეზე ვრცელდება, შეიცავს ანტიკური ხანის მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთებს. ამავე ფენაში მოექცა ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეების სამარხები. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ოქროს ღეროსაგან გაკეთებული სასაფეთქლე რგოლები, შესანიშნავად ნაძერწი, წითლად და შავად შეღებილი თიხის ჭურჭლები, რკინის მშვილდსაკინძები და ქინძისთავები. აქვე შემთხვევით იპოვნეს ბერძნული კერამიკის შავლაქიანი ჭურჭლის ნატეხი, რომლის ძირზე წრიული გვირგვინია გამოსახული. ეს ჭურჭელი 2500 წლის წინათ შორეული საბერძნეთის რომელიღაც ქალაქის ნავთსაყუდელში აიტანეს პატარა აფრიან გემზე. ხომალდმა გადმოსცურა ხმელთაშუა ზღვა, ჰელესპონტი, დიდხანს იქანავა და იჭრიალა შავი ზღვის აზვირთებულ ტალღებზე და, ვინ იცის, რამდენი განსაცდელი გადაიტანა, ვიდრე რიონის მღვრიე ტალღებში ჩაუშვებდა ღუზას. შორეული ქვეყნიდან მოტანილი ეს ჭურჭელი, რა თქმა უნდა, ძვირი ეღირებოდა. მაგრამ მაშინ მოდინახეს ფერდობზე უკვე ცხოვრობდა კაცი, რომელმაც იცოდა ფუფუნების ფასი. იგი ყიდულობდა საბერძნეთიდან მოტანილ ნატიფად ნაძერწსა და მაღალი გემოვნებით მოხატულ ჭურჭელს, სუფრაზე დგამდა და შიგ ასხამდა იმერეთის მზიურ ფერდობებზე მოყვანილ ყურძნის ნაყურს...

ერთი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ 40 მეტრი სიგრძისა და ექვსი მეტრი სიგანის თხრილი მიწაში ღრმად ჩავიდა. მუშები ახლა იქიდან დიდის გაჭირვებით ისროდნენ დანახშირებულსა თუ ნაცრად ქცეულ მიწას. სახელდახელოდ გაკეთებულ კიბეებზე ექსპედიციის წევრებს თხრილიდან ამოჰქონდათ საომარი და სამეურნეო დანიშნულების საგნები: ორფრთიანი ისრები, ქედიანი შუბები, მოკლეტარიანი სატევრები, პატარა კოლხური თოხები, სამეთუნეო ხელოსნობის სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნაწარმი. ეს ფენა განსაკუთრებით მდიდარი იყო, იგი მიწაში მეტრანახევარზე ვრცელდებოდა. მის ზედა შრეებში შეინიშნებოდა უბედური შემთხვევის კვალი. უეცარი შემოსევისა თუ ხანძრის შედეგად დამწვარი და დანგრეული ნასახლარი გვიმზერდა შორეული საუკუნეებიდან.

ოდესღაც მომხდარ უბედურ შემთხვევას არქეოლოგები ხშირად დიდი აღმოჩენის წინაშე დაუყენებია. ამიტომაც არის, რომ ისინი გულდაგულ ეძებენ წარსულში მომხდარი ტრაგედიის კვალს.

მოდინახეზე შესაძლებელი გახდა სტრატიგრაფიის დადგენა, რაც ძირითადად ძეგლის ასაკის განსაზღვრას ითვალისწინებს. ქვედა ფენა შეიცავდა ძველი წელთაღრიცხვის XII-IX საუკუნეების მასალებს, მისი ზედა ფენა IX-VII საუკუნეებისა იყო, ხოლო სულ ზედა ფენა—ანტიკური ხანისა. იგი ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეებს მიეკუთვნებოდა. მოდინახეზე გაჭრილი თხრილი, რომელშიც ახლა ორსართულიანი სახლი ჩაიდგმებოდა, ათას წელზე მეტი ხნის ისტორიას ითვლიდა. როცა ვფიქრობდით, რომ ყველაფერი დასასრულს უახლოვდებოდა, სწორედ მაშინ დაიწყო ყველაფერი თავიდან.

ერთ დღეს თხრილიდან დათო კაპანაძე ამოძვრა. იგი გახარებული ყვიროდა და ხელს გვიქნევდა. საჩხერის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე დათო კაპანაძე ზაფხულში ჩვენთან მუშაობდა: კეთილი და გამრჯე ბიჭი იმედს არასოდეს არ კარგავდა. სწამდა, რომ რაღაცას იპოვნიდა და იპოვნა კიდეც.

ყველა იმ ადგილისაკენ წავედით, სადაც დათო მუშაობდა. შავ მიწაში ლურჯად ანათებდა ბრინჯაოს სატევარი. მისი აღმოჩენით მოდინახეს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

# იცნობთ თუ არა შენს სამშობლოს?



1. რომელი ისტორიული ძეგლია ამ სურათზე გამოსახული?
2. სად მდებარეობს და რა ისტორიულ მოვლენებთან არის იგი დაკავშირებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექსპედიციის წევრებმა ფუნჯები მოიმარჯვეს და თხრილში ჩაძვრნენ. ისინი ყოველ ნამცეც მიწას უდიდესი სიფრთხილით აცლიდნენ ნივთებს და ადამიანის ძვლებს. (არქეოლოგებს უფლება არა აქვთ ნივთს ხელი ახლონ, ვიდრე იგი სრულიად არ გასუფთავდება). მთელი დღის დაძაბული შრომის შემდეგ მიწაზე წარსულის შემზარავი სურათი დაიხატა. აქ სულ მცირე ადგილზე, რომელიც ნახევარ კვადრატულ მეტრს ძლივს აღწევდა, 17 თავის ქალა იყო. გარშემო ეყარა შუბები, სატევრები, ქინძისთავები, ბრინჯაოს საკიდები. აქვე იყო ნაძერწი შავად მოლაპლაპე თიხის პატარა ჭურჭლები. ცოტა მოშორებით სართულებად იყო დახვავებული ერთ დროს, შესაძლოა, ბრძოლის ველზე დაცემულ მეომართა ძვლები.

არქეოლოგიაში ჩახედული კაცი შუბების ფორმებისა და სამარხებში არსებული ჭურჭლების მიხედვით ადვილად მიხვდებოდა, რომ მოდინახეზე აღმოჩენილი კულტურა ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნებოდა. იმ შორეულ ეპოქას ჩვენ 3500-3400 წელი გვაშორებს და, რა თქმა უნდა, ამის გამო ძნელი წარმოსადგენია ბრინჯაოს ჟანგით გამურული ქართველი მჭედლები, რომლებიც მაშინ იმერეთის ფერდობებზე დადგმულ სამჭედლოებში ჩაქუჩს აკაკუნებდნენ და მახვილთან ერთად თოხსაც ჭედდნენ. არქეოლოგიური მონაპოვრებისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე მტკიცდება, რომ იმ დროს ქართველ ტომებს ურთიერთობა ჰქონდათ მაშინდელი მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ხალხებთან — ხურიტებთან და ხეთებთან. ამ ურთიერთობას უფრო მეტად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ძველი მსოფლიოს ისტორიაში II ათასწლეულის შუახანები უდიდესი ქარტეხილების ეპოქა იყო. ამ დროს ასპარეზზე გამოდიან ხურიტები, რომლებმაც შექმნეს მითანის მძლავრი სახელმწიფო მაღალგანვითარებული კულტურით. ხურიტები ხეთების იმპერიის უძლიერეს მეფეებს პირველობას ეცილებოდნენ. მათ შორის გამართულ ომებში ზღვა სისხლი იღვრებოდა.

ამავე ხანებში მოხდა ჰიქსოსების უეცარი და გამანადგურებელი შემოსევები. ჰიქსოსები ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოვიდნენ. გრიგალივით გადაუარეს აღმოსავლეთს. ნილოსის დელტას მიაღწიეს, ფარაონები დაამხეს და ეგვიპტეში ასი წელიწადი იმეფეს. მათს ბატონობას ბოლო მოუღო ფარაონმა ამოზისმა. ამის შემდეგ ჰიქსოსები მიწის პირიდან აღიგავნენ და მსოფლიოს სარბიელიდან მირაჟებივით უკვალოდ გაქრნენ.

მეორე ათასწლეულის შუა ხანებში დაიწყო აგრეთვე ირანელი კასიტების ომები ახლო აღმოსავლეთში.

ამავე ხანებში ხეთი მეფეები გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ თავიანთი სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ისინი ქართველ ტომებსაც ესაზღვრებოდნენ.

ხალხთა გადასახლებისა და ომიანობის ამ უდიდეს ტალღას არ შეიძლებოდა საუკუნის ღელვაში არ ჩაეთრია ჩვენი ქვეყანა, იმ დროს რიონისა და ყვირილის აუზებში არსებულ მეტალურგიას ათას წელზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა. რა თქმა უნდა, მეომარი ხურიტი და ხეთი მეფეები მეტალურგთა ქვეყანას „უყურადღებოდ“ არ დატოვებდნენ.

მზით გაჩახჩახებულ მიწაზე, რომელსაც სისველე ჯერ კიდევ არ შეშრობია, ყრია ლურჯად ჩაჟანგული სატევრები და ქედიანი შუბები. დევს ისინი თავიანთი ძველი მფლობელების გვერდით რაღაც და დიდის მოწმენი, დავიწყებული სიზმარივით გვახსენებენ შორეულ წარსულს.

როდესაც მოდინახეზე II ათასწლეულის შუახანების სამარეები გავწმინდეთ, იქ ბევრს არაფერს აღარ მოველოდით. ამ ადგილზე თხრილის სიღრმე ოთხ მეტრს აღწევდა, ღორღნარევი მიწა წარსულის არავითარ ნაშთს არ შეიცავდა. მაგრამ მაინც ვთხოვე მუშებს, თხრა გაეგრძელებინათ. მეორე დღეს ქვიანი ნიადაგის ქვეშ ყავისფერ მიწაში თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა. ისინი მესამე ათასწლეულის შუა ხანისა იყო. ამის თქმა დანამდვილებით შეიძლება. საქმე ის არის, რომ აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა, აკადემიკოსმა ბორის კუფტინმა, პროფესორმა ოთარ ჯაფარიძემ ყვირილის ხეობაში, საჩხერეში და სოფელ ქორეთში გათხარეს ყორღანული ტიპის სამარხები, სადაც, თიხის ჭურჭლებთან ერთად, აღმოჩნდა ბრინჯაოს უამრავი ნივთი:

ცულები, სატევრები, ქინძისთავები... ეს აღმოჩენები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საჩხერე ცნობილი გახდა მთელი მსოფლიოს არქეოლოგებისათვის.

ცარცის გორაზე, რომელიც საჩხერის ცენტრში მდებარეობს, აკადემიკოსმა ბორის კუფტინმა ყორღანული ტიპის სამარხში, სხვა ნივთებთან ერთად, ხიშტისმაგვარი იარაღი იპოვნა. იგი ძალზე წააგავდა და თითქმის იმეორებდა ურში აღმოჩენილ, ამავე ტიპის შუმერულ იარაღს. ერთ მათგანზე შემორჩენილი წარწერა იტყობინებოდა, რომ იგი სარგონ აქადელის შვილს მანიშტუს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე — ელამის მმართველის, პუზურ შუშინაკისა იყო. პირველი ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის XXV საუკუნეში, ხოლო მეორე — XXII-ში. ქორეთსა და საჩხერეში გათხრილი სამაროვნების სხვა მასალებიც ამტკიცებდნენ, რომ ყვირილის აუზში მცხოვრებ ტომებს კულტურული კავშირი ჰქონდათ წინა აზიის უძველეს ცივილიზებულ სამყაროსთან. აკადემიკოსმა კუფტინმა და პროფესორმა ოთარ ჯაფარიძემ ეს ძვლები ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის შუახანებს მიაკუთვნეს.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე 4500 წლისწინანდელ ძეგლებში ლითონი არსად არ ყოფილა ისე უხვად ნაპოვნი, როგორც საჩხერეში. ამ გარემოებამ მეცნიერებს საშუალება მისცა დაემტკიცებინათ, რომ ყვირილის ზემო წელი იმ შორეულ ეპოქაში მეტალურგიის ერთ-ერთი უძლიერესი კერა იყო მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

არქეოლოგებს დღემდე საშუალება არ ჰქონდათ მიეკვლიათ სახელგანთქმული მეტალურგი ტომების ნასახლარებისათვის. ახლა კი, მოდინახეზე გაჭრილ თხრილში, რომლის სიღრმემ ხუთ მეტრს გადააჭარბა, მუშები პოულობენ იმ ადამიანთა სიცოცხლის კვალს, რომლებიც ნაჩერქეზევის, ცარცის გორისა და პასიეთის ყორღანებში განისვენებდნენ.

აქ, მოდინახეს ფერდობზე, იდგა სპილენძის გამოსადნობი მათი ქურები. ყვირილის ჭალებში ისინი თესავდნენ ქერსა და პურს. აქვე მწყემსავდნენ მთის კალთებზე შეფენილ ნახირს. მოდინახეს მიწა იძლევა ამის საბუთებს.

მომდევნო სეზონში მოდინახეზე მიკვლეულ იქნა ადრეული და გვიან ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები. ამ სამარხებში აღმოჩნდა საბრძოლო დანიშნულების ნივთები, ლამაზად ნაძერწი თიხის ჭურჭლები, ვერცხლის ფიალები, ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ნივთები, ოქროს მონეტები და სხვ.

მატერიალური და მხატვრული კულტურის ამ უნიკალურ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის შორეული წარსულის შესასწავლად.

ჯურხა ნადირაძე.



# წყავი

წყავი მარადმწვანე მცენარეა, ბუჩქად იზრდება, ზოგჯერ 8-10 მეტრ სიმაღლეს აღწევს.

ჩვენში იგი უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ტყეებშია გავრცელებული, მეტწილად წიფლნარებში. აქ წყავი იმდენად მრავლად იზრდება ქვეტყის სახით, რომ ხშირად ტყეს გაუვალს ხდის. მცირე რაოდენობით ბორჯომისა და მდინარე ტანას ხეობებშიც გვხვდება. უკანასკნელ ხანებში თელავის რაიონის სოფელ ართანის მახლობლად, ბაწარის ხეობაშიც აღმოჩნდა.

წყავს პირველად აკადემიკოსმა ტარასი კვარაცხელიამ მიაქცია ყურადღება. ეს მცენარე მან ჯერ კიდევ სიჭაბუკეში — 1913 წელს აღწერა, შეისწავლა და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა.

მეცნიერის წინასწარმეტყველება ახდა.

როგორც ლამაზსა და მარადმწვანე დეკორაციულ მცენარეს, წყავს ეზოებსა და ბაღ-პარკებში დაუწყეს გაშენება. წყავი კარგი გამოდგა ნიადაგის გასამაგრებლად, ქარსაფარად და ცოცხალ ღობედ.

წყავი აპრილ-მაისის თვეში ყვავილობს. ამ დროს იგი განსაკუთრებულად ლამაზი და კოხტა ხდება. მისი მოგრძო მტევნებად შეკრებილი ყვავილები, მუქი-მწვანე ელიფსოიდური ფორმის კრიალა ფოთლების ფონზე, თეთრი სანთლებივით არის აღმართული 5-13 სანტიმეტრის სიმაღლეზე.

აგვისტოში წყავი მწიფე ალუბლისოდენა, გემრიელ, სურნელოვან, კურკიან ნაყოფს იძლევა. იგი ნედლად იჭმება, უხვად შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. მისი წვენი შესანიშნავი საკუპაჟე მასალაა ხილკენკროვანთა ღვინოებისა და ლიქიორებისათვის — საუკეთესო არომატს, გემოსა და ფერს აძლევს მათ.

წყავის ფოთოლს სამკურნალოდ იყენებენ. მას ივლის-აგვისტოს თვეში აგროვებენ, პატარ-პატარად ჭრიან და წყლის ორთქლში ხდიან, რის შედეგადაც „წყავის წყალს" და „წყავის ზეთს" იღებენ.

„წყავის წყალს" ნუშის სასიამოვნო სუნი და მომწარო გემო აქვს. მას მეცნიერულ მედიცინაში იყენებდნენ და დღესაც იყენებენ კუჭის, გულის და ნერვულ დაავადებათა სამკურნალოდ. „წყავის ზეთს" კი ხილეულის წყლებისა და ლიქიორების დამზადების დროს ხმარობენ.

წყავის მოვარდისფრო და მაგარი მერქანი მაღალხარისხოვანი სახარატო მასალაა.

წყავის სამშობლოდ დასავლეთ საქართველოს თვლიან. იგი აგრეთვე ბალკანეთზე, მცირე აზიასა და ირანშიც ხარობს.

ანა ნემსაძე.





# გვირილა

**ჰანს ქრისჩიან ანდერსენი** მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ზ ღ ა პ ა რ ი

მომისმინეთ! აი, რა გიამბოთ.

იქნებ გინახავთ კიდეც: ქალაქგარეთ, ქუჩის განაპირას ერთი სახლი იდგა. სახლის წინ პატარა ყვავილნარს შეღებილი მესერი ეკრა. ეზოს გადაღმა, თხრილთან, ლორთქო ბალახში, პაწაწინა გვირილას ამოეყო თავი. მზის სხივები მასაც ისე ათბობდა და ეალერსებოდა, როგორც ბაღის ყვავილებს. ჩვენი გვირილაც, რომ იტყვიან, დღითიდღე კი არა, საათობით იზრდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, დილით, თვალისმომჭრელად ქათქათა, პაწია ფურცლები სხივებივით გაშალა მზისგულზე. გვირილას სრულებით არ ადარდებდა, უბრალო ყვავილი რომ იყო და გადაბარდულ ბალახში მუდამ შეუმჩნეველი რჩებოდა. არც არაფერზე სწყდებოდა გული, ბედს არ ემდუროდა; ჩვეულებისამებრ ყელმოღერებული შეჰფრფვინოდა მზეს და უსმენდა ცაში ტოროლას თავდავიწყებულ გალობას.

იმ დღესაც ისეთი ბედნიერი იყო გვირილა, ისეთი ბედნიერი, თითქოს დღესასწაული ყოფილიყო. ჩვეულებრივი ორშაბათი დღე კი იყო. ყველა ბავშვი მერხს უჯდა და რაღაცას სწავლობდა. ჩვენი გვირილაც წამომჯდარიყო თავის მწვანე ღეროზე და ისიც სწავლობდა კაშკაშა მზისაგან, სწავლობდა ირგვლივ ყველაფრისაგან. რა საუცხოოდ მოუწყვია ღმერთს ყოველივეო, — ფიქრობდა. გვირილას ეგონა, რასაც თვითონ გრძნობდა და განიცდიდა, ტოროლაც სწორედ იმას უგალობდა ასე ტკბილად. იგი მოკრძალებით შეჰყურებდა ბედნიერ ჩიტუნას, ასე ლაღად რომ დაფრინავდა. თვითონ სულაც არ ნაღვლობდა, ფრენა და სიმღერა რომ არ შეეძლო: „მე ხომ ვხედავ და მესმის! — ფიქრობდა იგი, — მზეც დამნათის, ნიავიც მკოცნის. ო, რა ბედნიერი ვარ!“

ეზოში უამრავი ყოყოჩა, თავმომწონე ყვავილი გაშლილიყო. სურნელებისა რა მოგახსენოთ, ისე კი, რაც შეეძლოთ, იბერებოდნენ. პიონები გაყინჩულიყვნენ, როგორმე ვარდზე დიდი გამოვჩნდეთო. მაგრამ სიდიდეს რა ჭკუა აქვს? თვალხატულა ტიტებს თავი აეწიათ, ცდილობდნენ უმალვე მიეპყროთ ყურადღება. სამწუხაროდ, ვერავინ ამჩნევდა ეზოს გადაღმა ამოსულ პაწია გვირილას. სამაგიეროდ, გვირილა უჭვრეტდა მათ და შენატროდა: „რა ლამაზებია, რა კარგები! მათ უეჭველად ეწვევა სანატრელი ჩიტი! კიდევ კარგი, ახლოს მაინც ვარ და ვტკბები ამ მშვენიერებით!“

ამის გაფიქრება იყო და, ფრიი — ტოროლაც დაეშვა... მაგრამ ბაღში კი არა, — პიონებთან და ტიტებთან, — არამედ პირდაპირ ბალახში — მორცხვ გვირილასთან. გვირილა სიხარულისაგან დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. აბა ამას როგორ წარმოიდგენდა!

ჩიტი გვირილას ირგვლივ დახტოდა და მღეროდა: „უჰ, რა ლორთქო ბალახია! რა მშვენიერი ყვავილია — ოქროსგულა, ვერცხლისფრთიანი!“

გვირილის ყვითელი გული მართლაც ოქროსავით ანათებდა, თვალისმომჭრელი, ქათქათა ფურცლები კი ვერცხლისფრად უელავდა.

ენა ვერ იტყვის, რა ბედნიერი, რა გახარებული იყო გვირილა! ჩიტმა დაკოცნა, უმღერა კიდეც, მერე კი კამარა შეჰკრა და ლურჯ ცაში გაუჩინარდა. თხუთმეტი წუთი გავიდა, გვირილა გონს ძლივს მოეგო. მორცხვად, მაგრამ გულში დიდი კმაყოფილებით გახედა ბაღის ყვავილებს. რა თქმა უნდა, დაინახეს რა ბედნიერება და პატივი ხვდა წილად გვირილას. ვის შეშურდებოდა, თუ არა მათ! გამწყრალი ტიტები კიდევ უფრო გაიბღინძნენ და შურისაგან მთლად აენთნენ. დიდთავა პიონებიც გაიბერნენ და გაიბუტნენ. კიდევ კარგი, ლაპარაკი არ შეეძლოთ, თორემ ვაი გვირილას ბრალი! საბრალო მაშინვე მიხვდა, როგორ წაუხდათ გუნება და გულწრფელად შეეცოდა ისინი.

ამ დროს, სად იყო და სად არა, ბაღში ქალიშვილი გამოჩნდა, ხელში დიდი, ლაპლაპა დანა ეჭირა. მოდგა და ერთიმეორის მიყოლებით გადაჭრა ტიტები. „რა საშინელებაა! — ამოიკვნესა გვირილამ, — გათავდა მათი სიცოცხლე“. ქალიშვილმა ტიტების თაიგული თან წაიღო. გვირილა კმაყოფილი დარჩა, რომ ღობის გადაღმა, ბალახებში, ვერავინ ამჩნევდა. მადლი შესწირა უფალს, მერე კი, მზე რომ ჩავიდა, ფურცლები დაკეცა, ჩაიძინა და მთელი ღამე მზე და პატარა ჩიტუნა ესიზმრებოდა.

დილით კვლავ გაიღვიძა გვირილამ, პაწია ფურცლები მკლავებივით გადაუშალა ჰაერს და სინათლეს. უცებ, ტოროლას ხმა შეიცნო: ჩიტი მღეროდა, მაგრამ ახლა სულ სხვა ხმაზე, სევდიანად. საბრალო, მახეში გაბმულა და ახლა ღია ფანჯარაში გამოკიდებულ გალიაში ზის. ტოროლა მღეროდა, თუ რა ბედნიერება იყო მწვანედ აბიბინებულ ველ-მინდვრებზე ნავარდი, ანდა ცის კამარაში ლაღად ფრენა. საცოდავ ჩიტუნას მძიმე ნაღველი აწვა გულზე, ის ხომ ტყვე იყო.

გვირილას სულითა და გულით სწადდა დახმარებოდა ჩიტუნას, მაგრამ, აბა, რა შეეძლო? ვეღარ უმზერდა ირგვლივ მშვენიერებას, ვეღარ ამჩნევდა როგორ აცხუნებდა მზე, ან როგორ კაშკაშებდნენ მისი თეთრი ფურცლები. მხოლოდ საბრალო ჩიტუნაზე ფიქრობდა. წუხდა, შველა რომ არ შეეძლო.

უცებ, ეზოდან ორი ბიჭი გამოვიდა. ერთ მათგანს ზუსტად ისეთივე ბასრი და ლაპლაპა დანა ეკავა, ტიტები რომ მოჭ-



რა იმ დილით ქალიშვილმა. ბიჭები გვირილასთან მივიდნენ. გვირილა ვერ მიმხვდარიყო რა უნდოდათ.

— აი, აქ მშვენიერი ბელტი ამოიჭრება ჩვენი ტოროლასთვის! — თქვა ერთმა. მიწაში დანა ღრმად ჩაასო და ოთხკუთხედი ბელტი ამოჭრა. გვირილა ბელტის შუაგულში მოექცა.

— ყვავილი მოვწყვიტოთ! — უთხრა მეორემ.

გვირილა შიშით აცახცახდა; რომ მოწყვიტონ, ხომ მოკვდება! მას კი ძალიან უნდა სიცოცხლე, უნდა საბრალო ტყვესთან მოხვდეს გალიაში.

— არა, ნუ მოვწყვეტთ, — არ დაანება პირველმა, — ასე უფრო ლამაზია.

გვირილაც გალიაში აღმოჩნდა, ტოროლასთან.

საცოდავი ჩიტი ხმამაღლა მოთქვამდა თავის უბედობას, ეხეთქებოდა გალიის მავთულებს, ერთ ამბავში იყო. გვირილამ არ იცოდა ლაპარაკი, სანუგეშო სიტყვასაც ვერ ეტყოდა, თუმცა კი ძალიან უნდოდა. ასე გავიდა დილა.

— წყალი, სად არის წყალი! — ბორგავდა ტოროლა. — ალბათ დაავიწყდათ წყლის დატოვება, მე კი ყელი გამიშრა. მთლად ვიწვი, თანაც მაჟრჟოლებს. ოჰ, სული მეხუთება, მალე მოვკვდები, სამუდამოდ განვშორდები მზის სინათლეს, ნორჩ მცენარეებს, მთელ ღვთიურ სამყაროს!

სული რომ მოებრუნებინა, ტოროლამ ნისკარტი ღრმად ჩარგო მიწის გრილ ბელტში. უცებ გვირილა შენიშნა, თავი დაუქნია, აკოცა და უთხრა:

— აქ შენც დაჭკნები, საბრალო ყვავილო! ხომ ხედავ, მთელი იმ სამყაროს სანაცვლოდ, თავისუფლების დროს რომ გამაჩნდა, შენი თავი და მიწის ერთი ნაგლეჯი, მწვანე ბელტი მარგუნეს. ახლა ბალახის თვითეულმა ღერომ უნდა გამიწიოს აქოჩრილი ხის მაგივრობა, შენმა თვითეულმა ფურცელმა კი — სურნელოვანი ყვავილისა. ვაი რომ ყველაფერი ეს მხოლოდ მოგონებაა იმისი, რაც დავკარგე.

,,ოჰ, რით ვანუგეშო!" — ფიქრობდა გვირილა, მაგრამ ფოთლის განძრევაც კი არ შეეძლო. სამაგიეროდ, მისი ფურცლები ჩვეულებრივზე მეტ სურნელს აფრქვევდნენ. ეს ტოროლამაც იგრძნო, ამიტომ არც გაჰკარებია მას, თუმცა წყურვილისაგან იხრჩობოდა. ნედლი ბალახი კი ძირამდე ამოწიწკნა.

ამასობაში დაღამდა კიდეც. წყალი არავინ მიუტანა საბრალო ჩიტუნას. მანაც დაკეცა ლამაზი ფრთები, საშინლად აცახცახდა და რამდენჯერმე საცოდავად ამოიკვნესა:

— წყალი, წყალი!

მერე თავი გვერდზე გადაუვარდა და გული გაუსკდა ამდენი დარდისა და ტანჯვისაგან.

გვირილამაც ვეღარ დაკეცა ფურცლები წინანდებურად და ვერ დაიძინა. დარდიანმა და უძლურმა თავი ჩაჰქინდრა.

ბიჭები მხოლოდ მეორე დილით მივიდნენ. მკვდარი ჩიტი რომ ნახეს, ხმამაღლა მორთეს ტირილი. შემდეგ საფლავიც გაუთხარეს და ლამაზი ყვავილებით შეამკეს. ტოროლა ლამაზ, წითელ ყუთში ჩააწვინეს, უნდოდათ მეფურად დაესაფლავებინათ. საბრალო ჩიტუნა! სანამ ცოცხალი იყო და გალობდა, არავის გახსენებია, ჩასვეს გალიაში და წყურვილით მოკლეს. ახლა კი დიდებული პანაშვიდი გადაუხადეს და ცხარე ცრემლიც დააფრქვიეს!

გვირილა კი ბელტიანად გადაისროლეს მტვრიან ქუჩაში. არავის მოჰგონებია იგი, ვისაც ყველაზე მეტად უყვარდა საბრალო ტოროლა, ვისაც მთელი გულით ეწადა ენუგეშებინა უმწეო ტყვე.

თარგმნა მ. ჯაფარიძემ.

# ბუერით მოტანილი წყაროს წყალი

როსტომ ელანიძე

სოფელ ხუნწიანის ერთი უბნის პატარა გოგო-ბიჭებმა სოფლის განაპირას, პატარა მოედანზე, ბურთის თამაში წამოიწყეს. მოედნის ერთ მხარეს უშველებელი დაღმართი ეშვებოდა, ქვევით კი, ხევში, მდინარე მიჰქუხდა.

— თქვენ, ჰეი, ჭინკებო! — დაეხმაურა ბიჭებს ხზორების მოსარეკად მიმავალი ბარდანა ბებია, — ეგრე დავიწყებას რომ მისცემიხართ, ბურთი ამ პატარა მინდორზე ხელ-ფეხს რომ აგიცდეთ, ქურციკივით გადაერევა ტყე-ღრეში და, ჰერი ბიჭო, დარჩებით ხახამშრალები! ფრთხილად ითამაშეთ!

— ჰო, კარგი, ბარდანა ბებო, ვიფრთხილებთ! — მიაძახეს ბავშვებმა და ბურთს უფრო შეუტიეს.

შეუტიეს და ერთბაშად ისე გაუსხლტათ ხელიდან, რომ ვერც კი მოჰკრეს თვალი საით გადავარდა.

— არა, აქეთ გადავარდა, არა, აქეთაო, — გაიძახოდნენ ბიჭები და თან აქეთ-იქით აწყდებოდნენ. გადაჩხრიკეს მთელი შამბნარი, ბალახი, ბუჩქი და ღრანტე აღარ დატოვეს უნახავი...

ცემით დაბეგვილმა ბურთმა, დაღმართზე მრავალი კაპარა გააკეთა, ზოგან ჩხიკვიააფრინა, ზოგან — შაშვი; ერთგან კურდღელიც კი შეაშფოთა; ბოლოს გზის პირას კლდეზე დასკუპდა. წინ ერთი მოხუცი მგზავრი შეეფეთა, ზურგზე გუდა-ნაბადი ეკიდა, ჯოხით მოდიოდა, უცებ ბურთმა კლდიდანაც ისკუპა, დიყი და ბუერა გადათელა და გაგორდა. მგზავრმა ხელი სტაცა, შეატრიალ-შემოატრიალა, თან ჭაღარა ულვაშებში ჩაეცინა, — თავისი ბავშვობა გაახსენდა.

„ალბათ პაპუნაანთ მინდვრიდან გადმოუვარდათ ყმაწვილებს ეს თავყია ბურთი, ესაო“, — გაიფიქრა მოხუცმა და სოფლისაკენ განაგრძო გზა. აღმართმა დაღალა, თან წყალი მოსწყურდა, საბურთაო მოედანს რომ მიუახლოვდა, ბავშვების ხმაური შემოესმა, მიხვდა, ბურთს ეძებდნენ... ცოტა ხანიც და მგზავრი ბურთიანად მოედანზე გაჩნდა. სული მოიბრუნა თუ არა, ბიჭებს ხმამაღლა გასძახა! ბავშვებმა ტიტე პაპას ხმა გაიგეს თუ არა, მაშინვე მისკენ წამოვიდნენ, შორიდანვე დაუნახეს ხელში ბურთი და სიხარულით ახმაურდნენ, გარშემო შემოეხვივნენ, მადლობა უთხრეს. ამათგან ზოგი ტიტე პაპას შვილიშვილი იყო, ზოგი ახლო მოკეთე, მეზობელი. ზოგიც ქალაქიდან ჩამოსული სტუმარი.

ტიტე პაპა მწყემსია, მთელი ზაფხული მთაში იყო წასული და ახლა ბავშვების დანახვით მეტად გაიხარა.

— შვილებო, იცით როგორ მომენატრა ჩვენი წყაროს ცივ-ცივი წყალი! თუ დამალევინებთ, დიდად მასიამოვნებთ. — სთხოვა მან ბავშვებს.

— აბა, რით მოგიტანოთ. ტიტე პაპა, წყალი! ჭურჭელი რომ არაფერი გვაქვს? — შეწუხდნენ ბავშვები.

— ოი, თქვე ჭინკებო! გეტყობათ, ბუერით წყალი ჯერ არავის დაგილევიათ.

— ბუერა რა არის? — იკითხეს ქალაქელებმა და ერთიმეორეს შეხედეს.

— პატარა, ლამაზი მცენარეა, წყაროსთან ისეა მოდებული, ფეხს ვერ აუქცევ, — ახმაურდნენ ბიჭები.

— იცით რა გემრიელია ბუერას ფოთლით წყაროს ცივ-ცივი წყლის დალევა? — წამოიწყო ისევ მოხუცმა, — მწყემსებისა და მონადირეების სასმისია! გაიქეცით წყაროზე, აარჩიეთ ერთი თუშური ქუდივით მოქვაბული ბუერას ფოთოლი, ოღონდ დახედეთ, ნასვრეტები არა ჰქონდეს, წინ ყელთანაც ისე შეკარით, წყალი არ გაუშვას და ერთი ცივი წყალი მომირბენინეთ, აგრემც თქვენ დაეზრდებით თქვენს დედებსა...

ბავშვებმა მალე ტიტე პაპას სამი ვეებერთელა ბუერას ფოთლით წყალი მოუტანეს. მოხუცმა ერთი ბუერა ძირამდე გამოსცალა. მეორესაც სიამოვნებით დავცლიდი, მაგრამ დაღლილზე ბევრი წყალი არ ვარგაო, — მადლობა გადაუხადა ბავშვებს და ანიშნა. — აბა გემო თქვენც გაუსინჯეთ, ნახეთ ბუერას წყალი რა გემრიელიაო!

ბუერას სასმისი ჩამოატარეს და ბავშვებმა ტიტე პაპასთან ერთად ყიჟინ-ხივილით შინისაკენ გასწიეს.





# ღარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯინჯოლია

მხატვარი ო. ჩხარტიშვილი.

მოთხრობა

— დავრჩები რა, თქვენთან, მამი!

— არ შეიძლება, შვილო.

— განა რა იქნება, რომ წამოგყვეთ?

— გადავარდები სადმე.

— შენ ჩაგეჭიდები, ორივეს რა გადაგვაგდებს!

— საშენოდ მეცლება?!

— კი, მამი.

— არა -მეთქი!..

— მაშინ ძია ლევანს ჩავეჭიდები...

— ვერც ძია ლევანი მოიცლის შენთან სათამაშოდ... ამდენი არ უნდა გესმოდეს?!

— განა ვითამაშებ, — მოგეხმარებით...

— ამას დამიხედეთ, დახმარებასაც კი გვპირდება! — ხმას აუწია მამამ.

— ვაჟკაცი გეზრდება, ჩემო ვარლამ! — ღიმილით გადახედა ლევანმა ბიჭს და ცერით ნაჯახს პირი მოუსინჯა.

ილა გაისუსა. იცოდა, მამის გაჯავრება რასაც უქადდა... გულდაწყვეტილმა მთისკენ იბრუნა პირი, მაღლიდან ჩამოშვებულ ღარს მიაჩერდა.

ღარის დასაწყისი არ ჩანდა, ტყეში ჩაკარგულიყო, ძირს კი, ნაადრევად მოსხეპილივით წყდებოდა მდინარის პირზე.

სწორი, გასუფთავებული ძელებისაგან გაეკეთებინათ ღარი. შიგ წყალი კი არ მოედინებოდა, იგი მორების ჩამოსაშვები იყო.

ზევით, ფერდობზე, ტყეს ჭრიდნენ. ელექტროხერხი მუდამდღე ჭრიალებდა იქ. ზედიზედ, ერთმანეთზე წვებოდნენ ნაძვები.

მოჭრილ ხეებს სხეპავდნენ, ქერქს აცლიდნენ და ღარის დასაწყისთან აწყობდნენ.

დილის ნამიც საკმარისი იყო, — ღარი გაქონილივით სლიპი ხდებოდა.

ძია მათე, თავისი მეგობრებით, მზის ამოსვლამდე შეუდგებოდა ხოლმე საქმეს.

თავშივე ერთხელ ასხლეტილი მორი სრიალ-სრიალით დაქანდებოდა, მერე კი თვალშეუსწრები სიჩქარით მიჰქროდა თავქვე...

ღარის ბოლოს ზოგიერთი ჰაერშიც კი ავარდება, თხუთმეტი-ოცი მეტრის სიშორეზე.

მთელი კვირის განმავლობაში ნაგროვებ მორებს ორ-სამ საათში ჩამოყრიან ძირს. მერე მათ ისევ ერთმანეთის მიჯრით ალაგებენ, წნელებით ჰკრავენ ტივებად და მდინარეზე დასაცურებლად ამზადებენ.

სულ რაღაც ხუთიოდე წუთის სავალს იქით ჯებირი ტბორავს წყალს. ლამაზი, ლივლივა ტბა დაუყენებია.

საგუბარის საკეტებს სპირიდონ ბაბუა დარაჯობს. მხოლოდ დანიშნულ დროს მიუშვებს ხოლმე მდინარეს თავის ნებაზე.

საგუბარიდან ღვართქაფივით ითქრიალებს წყალი, პირთამდე აივსება კალაპოტი... ნაპირებიდან ტივებს გაიტაცებს.

ახლაც საკეტების გახსნის მოლოდინში იყვნენ მეტივეები.

— ზუსტად თორმეტზეა დანიშნული, არა? — იკითხა ლევანმა. კარგად იცოდა, რა დროისთვისაც იყო დანიშნული, მაგრამ მაინც იკითხა, სიჩუმეს ვერ იტანდა.

მამამ შარვლის პატარა ჯიბიდან დიდი, ძეწკვიანი საათი ამოიღო.

— სპირიდონ ბაბუა ალბათ უკვე მზადაა...

— „მამა ახლა მეტყვის, ჩადი ტივიდან, რა მელასავით დაცუცქულხარო“, — ფიქრობდა ბიჭი.

— ჩვენც მზადა ვართ! — თქვა ლევანმა.

მამა დუმდა.

ილას ძლიერ უცემდა გული.

„ბარემ დამიყვიროს და ჩავალ“.

მამა ისევ დუმდა.

მდინარემ მატება იწყო, ჩუხჩუხით გადაევლო ქვებსა და ლოდებს. სულ მაღლა-მაღლა იწევდა წყლის დონე. ჯერ ერთი ტივი გაიყოლია, შემდეგ — მეორე...

მამა ნაპირს ჭოლოკით დაეყრდნო და ტივს უბიძგა.

მორები მდინარის ზედაპირზე გაცურდნენ.

ნირწამხდარმა ილამ ქამარში ჩაავლო ხელი ლევანს.

„ნეტა ჩამოვეგდე მამას!“ — ნანობდა ბიჭი, მაგრამ გვიანღა იყო...

ტალღები სწრაფად მიაქროლებდნენ ტივს. ხან ერთ მხარეს უპირებდნენ მიხეთქებას, ხან — მეორე მხარეს.

მამა და ლევანი ორთაყვირებით ებრძოდნენ ტალღებს, სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე მდინარის შუაგულში ეცურა ტივს.

ილას თავბრუ ესხმოდა. ხეები, ბუჩქები, ლოდები მისკენ ისწრაფოდნენ და უმალვე გაურბოდნენ ისევ. თითქოს ტალღების ხმაურიც უშლიდა წონასწორობის დაცვას. ლევანის ქამარი შველოდა ილას, თორემ ახლავე აუხდებოდა მამის ნათქვამი — წყალში ამოყოფდა თავს.

მდინარემ მთებს გააღწია, გავაკებულზე გავიდა. დაკლაკნილი კალაპოტი გასწორდა და წყალმა ცოტა დაწყნარებით იწყო დინება.

სოფლის დაბალ ხიდქვეშ გავლისას მამა და ლევანი დაიხარნენ, დაფეთებული ილა ტივზე დაეკრა.

— კინაღამ თავი არ მიარტყი! კიდევ კარგი, დაწოლა მოასწარი! — უცნაურად გაუღიმა მამამ.

ბიჭს ლაწვები შეუწითლდა.

გოგო-ბიჭები ტივების დაცურების საყურებლად გამოფენილიყვნენ. მეგობრის დანახვისას ერთხმად შეჰყვირეს:

— ილა!.. ილა!..

ამხანაგებთან მაინც თავს როგორ შეირცხვენდა ილა! შიში არ დაიმჩნია, გაბედულად დადგა... ხელის ქნევით ჩაუქროლა ნაპირზე შეკრებილთ.

მორიგი ხიდის ქვეშ გავლისას თავიც არ დაუხრია, თუმცა ლევან ძიას ქამარს ისევ ჩასჭიდებოდა...



## ახალი წიგნები

### ბორბლებსა და ფრთებზე

ძამია ჩორგოლაშვილი



დილის შვიდი საათია, თბილისის აეროდრომზე ახალგაზრდები შეკრებილან: ათ საათზე, მოსკოვში, გამოჩენილი მეცნიერი ლექციას კითხულობს თანამედროვე ქირურგიის უკანასკნელ მიღწევებზე. კამათობენ, მსჯელობენ...

საღამოს ხუთ საათზე იგივე ახალგაზრდები თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელებს უკრავენ ტაშს.

არა, ეს ზღაპარი როდია, ასეთი ამბავი დღეს აღარავის აკვირვებს.

მაგრამ ასე იყო ყოველთვის?

წაიკითხეთ ეს წიგნი და თქვენ ნახავთ, რა გზა განვლო ადამიანმა პირველი ბორბლიდან — ატომურ ძრავიან თვითფრინავამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძაღლის კუდი

აზიზ ნესინი

აზიზ ნესინი თანამედროვე თურქი მწერალია. დაიბადა 1915 წელს. 1956 წელს რომში ჩატარებულ მსოფლიოს მწერალ-იუმორისტთა კონკურსზე აზიზ ნესინის მოთხრობამ — „როგორ დაიჭირეს ჰამდი“ — პირველი პრემია და ოქროს პალმა დაიმსახურა. იგივე განმეორდა 1957 წელსაც, კვლავ რომში. ამჯერად ოქროს პალმა მიიღო მისმა მოთხრობამ: — „ბანკეტი ქვაბის დადგმის გამო“. ამის შემდეგ აზიზ ნესინი უკვე საქვეყნოდ ცნობილი მწერალი გახდა. სამი წლის განმავლობაში თურქეთში გამოიცა მისი მოთხრობების ოცდაათზე მეტი კრებული, ორი რომანი, პიესა. აზიზ ნესინის ნაწარმოებები თარგმნა მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

აზიზ ნესინი 1965 წელს საქართველოს ეწვია და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიარა ჟურნალ „აქბაბას“ მკითხველებს.





## რატომ გამელოტდა მარტორქა

მთელ სხეულზე აქა-იქ მიმობნეული თითო ბლუჯა ბეწვი— აი მარტორქის მთელი „სამოსელი“. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კი მარტორქის წინაპარი გრძელი, ხშირი ბეწვით იყო დაფარული. „რატომ „გამელოტდა“ მარტორქა?“ — დაინტერესდა ინგლისელი ზოოლოგი კ. დეივი. როცა მარტორქის ტყავის გარეთა თხელი ფენა გულმოდგინედ შეისწავლა, პროფესორმა გაოცე-



ბით შენიშნა, რომ ამ ცხოველს ბეწვი სრულებითაც არ გასცვივნია, მხოლოდ დამოკლებია ძირამდე. მარტორქის ტყავი ისე სქელია, რომ, პროფესორ დეივის აზრით, „ქურქში“ მარტორქა ვერ გაუძლებდა ტროპიკულ სიცხეს. მარტორქასაც ურჩევნია დედიშობილამ იაროს, ვიდრე თაკარა სიცხეში სული ეხუთებოდეს.

## გოგენს მიაწერენ...

ერთი ფრანგი ექსპერტის ანგარიშით, ამერიკელ კოლექციონერებს პოლ გოგენის ორიათასზე მეტი ნახატი აქვთ. სინამდვილეში კი ცნობილია, რომ ამ დიდებულმა მხატვარმა თავის სიცოცხლეში სულ 700 სურათი შექმნა.

## მომღერალი თევზი

კუნძულ ცეილონის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი რამ ე. წ. „მომღერალი თევზი“ გახლავთ. იგი ღრმა ტბებში ბინადრობს, მთვარიან ღამეში წყლის ზედაპირზე ამოცურდება ხოლმე და მელოდიურ ბგერებს გამოსცემს.

## პირველად პირით ორკესტრისაკენ

1863 წელს რიჰარდ ვაგნერი (1813-1883) მოსკოვს ეწვია, სადაც დიდი თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვიდა. მსმენელები განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული გერმანელი კომპოზიტორი ორკესტრისაკენ პირით იდგა და ისე დირიჟორობდა. მანამდე მოსკოვში ყველა დირიჟორი მსმენელთა დარბაზისაკენ პირშექცეული დირიჟორობდა.

## ძველ ინდიელთა მუმიები

სამეცნიერო ექსპედიციამ, სან-ხუანის უნივერსიტეტის (არგენტინა) პროფესორების პაბლო საკჩეროსა და მარიანო გამბიეროს ხელმძღვანელობით, ერთ-ერთი მთის გამოქვაბულში სამარხები აღმოაჩინა. სამარხებში ძველ ინდიელთა მშვენივრად შენახული თერთმეტი მუმია აღმოჩნდა. მუმიებს რომელიღაც უცნობი ხსნარით გაჟღენთილი თხელი დოლბანდი ჰქონდა რამდენიმე ფენად შემოხვეული. ერთი მუმია კი ლამას გადმობრუნებულ ტყავში იყო შენახული. თავზე მუმიებს დაწნული ბალახის, კალათის მაგვარი ქუდები ეხურათ. მუმიების გვერდით აღმოაჩინეს აგრეთვე მზის, მთვარისა და ვენერას სიმბოლური გამოსახულებანი.

მეცნიერთა აზრით, ნაპოვნი მუმიები ორჯერ მეტი ხნისაა, ვიდრე ეგვიპტელი ფარაონების მუმიები.

## ტარზანი ნაკრძალში

უცნაური ამბავი ხდებოდა სამხრეთ აფრიკის ნაკრძალში— კრიუგერ პარკში: ერთ-ერთი სასტუმროს მახლობლად მანქანების სადგომთან დატოვებული მცირელიტრაჟიანი მანქანები რაღაც ძალას ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, ზოგიერთი გადაბრუნებულიც კი ხვდებოდათ. სასტუმროს კლიენტები — მანქანების პატრონები განრისხებული იმუქრებოდნენ: „ამ ამბავს ასე არ დავტოვებთო“.

პარკის დირექცია შეუდგა დამნაშავის ძებნას და ერთი კვირის შემდეგ კიდეც აღმოაჩინა იგი. დამნაშავე აღმოჩნდა ტარზანი — გიგანტური კუ, ნაკრძალის ძველი მობინადრე. ჩრდილის ძებნის დროს ტარზანი მანქანის ქვეშ შეძვრებოდა ხოლმე, ხოლო, როცა მზე გადაიხრებოდა და ჩრდილიც გადაინაცვლებდა, კუ ადგილს იცვლიდა — ჩრდილს მიჰყვებოდა და... თან ზურგით მიათრევდა მანქანას.

„დამნაშავეს“ პარკის იმ ნაწილში გადასახლება „მიესაჯა“, სადაც მანქანების შესვლა აკრძალულია.



## რეზინის მინა

აშშ-ს ერთმა ფირმამ ახალი სახის მინა გამოიგონა, რომელიც ჩვეულებრივი მინასავით გამჭვირვალეა და რეზინივით ელასტიკურიც არის. მას ალმასითაც კი ვერ გაკაწრავთ, ვერც ჩაქუჩით დააკლებთ რამეს. ექვსი მილიმეტრი სისქის ასეთ მინას ტყვია ვერ ხვრეტს.

## სახელს არ არქმევენ

ჩრდილოეთ ბირმის მთიელთა ტომ კაჩინებში ყველას სხვადასხვა სახელი ჰქვია. თუმცა, ტყუპები რომ იბადებიან, ორივეს ერთსა და იმავე სახელს არქმევენ. საქმე ის არის, რომ კაჩინების რწმენით, ტყუპები — ერთი ადამიანია, რომელსაც ორი სახე აქვს. როცა ტყუპები ცხრა წლისანი ხდებიან, მათ გამოცდას უტარებენ: ბავშვები სამ-სამჯერ ჩაყოფენ ბრინჯიან დოქში ხელს. ერთი ბრინჯის მარცვალი წითლად არის შეღებილი. რომლის ხელსაც ის მარცვალი ამოჰყვება, მას ნამდვილ ადამიანად თვლიან და სახელსაც მას არქმევენ.

მეორე ბავშვი უსახელოდ რჩება. მას ამიერიდან „მეორეს“ დაუძახებენ.

## მელა მარტო ქურდი როდია

მელა ავაზაკად და ქურდად არის მონათლული. მაგრამ, სინამდვილეში, მთლად ასე როდია, მელა სასარგებლო ცხოველიც გახლავთ.

ცნობილია, რომ თაგვები ტყის ძველისძველი მტრები არიან: მიწაზე დაცვივნულ თესლს ანადგურებენ, ხის კანს ღრღნიან, ჭამენ ნორჩ მცენარეთა ფესვებს. მელას საოცრად მახვილი სმენა აქვს: თაგვის წრიპინს შორიდანვე გაარჩევს ხოლმე და სწრაფად უსწორებს ანგარიშს ამ მავნებელს.

მელა ზაფხულში ხის მატლებსაც მიირთმევს. ასე რომ, იგი მუდამ დგას ტყის სადარაჯოზე.

# თამაში წყალში

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲓ ᲙᲐᲛᲙᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ. ᲡᲬᲝᲠᲤᲡᲙᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲝᲗ. ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲪᲣᲠᲕᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗ ᲓᲐᲖᲚᲕᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲗ.

### ᲝᲗᲣᲠᲛᲐ

მოთამაშენი ერთმანეთისაგან 2-3 მეტრის დაცილებით, წელამდე წყალში დგებიან. უკან მდგომი ახტება, ფეხებს გაშლის, წინ მდგომს გადააახტება, წყალში ჩაიყურყუმალებს და წინ მდგომს ფეხქვეშ გაუძვრება. ახლა მეორე გაიმეორებს ამასვე და ა. შ.

### ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ორი მოთამაშე ერთმანეთს ეჭიდება, ორივე ცდილობს მოწინააღმდეგეს წყალში ჩააყოფინოს თავი. ხუთი შეჭიდებიდან ვინც სამს მოიგებს, გამარჯვებული ის არის. წყალი წელამდე უნდა გწვდებოდეთ.

### „ᲛᲔᲑᲐᲓᲣᲠᲘ" ᲓᲐ „ᲗᲔᲕᲖᲘ"

ორი მოთამაშე-„მებადური" ერთმანეთს ხელს ჩაავლებს, მესამეს დასდევს და ცდილობს „ბადეში" მოიმწყვდიოს იგი. როცა დაიჭერს, მერე სხვა „თევზებს" დასდევს. თამაში მანამ გრძელდება, ვიდრე ყველაზე სწრაფი „თევზი" არ მოჰყვება „ბადეში".

### ᲕᲘᲜ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔᲑᲡ

წყალში 15-20 მეტრზე ბურთი ისროლეთ. სროლასთან ერთად წყალში გადაეშვით. ვინც ბურთთან მიასწრებს, პირველობა იმისია. ხოლო, თუ უკანაც ბურთიანად პირველი დაბრუნდა, ამას რაღა სჯობს.



### ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲕᲐ

ღრმა ადგილას, მოთამაშეებს შეუძლიათ ერთმანეთს შეეჯიბრონ, ვინ უფრო მეტ ყირას ან უკუტრიალს გააკეთებს. მოხრილი, წელგაშლილი თუ ხელებგაწეული იტრიალებთ, ამაზე წინასწარ შეთანხმდით.

### ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ

წყალში თუ ხორკლი დაგაყარათ, ნაპირზე გამოდით და სილაზე ითამაშეთ. ერთმანეთისაკენ ზურგით დადექით, მუხლებში ნახევრად ჩაჯექით და ერთმანეთს ხელები გადააასკვენით, წინასწარ დანიშნულ ადგილამდე ხტუნვა-ხტუნვით გაიარეთ და მერე უკან ასეთივე ხერხით დაბრუნდით. შეგიძლიათ ეს ვარჯიში უფრო გაართულოთ. სცადეთ, იქნებ გვერდულა ხტუნვით შესძლოთ წინ წასვლა და უკან დაბრუნება. ეს თამაში ესტაფეტასავით იმართება — გაიყავით და ვინ ვის მიასწრებს. ორ-ორი გუნდი ფინიშის ხაზზე ეწყობა. მოთამაშეთა შორის მანძილი 2-3 მეტრია. მოთა-



მაშეები წინ გადაიხრებიან, ხელებით მიწას დაებჯინებიან და ამ ხელოვნურ „გვირაბში" ოთხით უნდა გაძვრეს მწკრივის ბოლოს მდგომი მოთამაშე. თავში გასულიც იხრება და ახლა ბოლოდან



მეორე იწყებს სვლას. ის გუნდი გაიმარჯვებს, რომლის წევრებიც ადრე დაამთავრებენ ესტაფეტას.

### ᲛᲧᲕᲘᲜᲗᲐᲕᲔᲑᲘ

2-2,5 მეტრი სიღრმის სუფთა, კამკამა წყალში წინდაწინ ჩაყარეთ ჭრელჭრულა საგნები: კენჭები, თეფშები, ბურთულები... მოთამაშენი რიგრიგობით ყვინთავენ წყალში და ვინც ყველაზე მეტს ამოიტანს ფსკერიდან, გამარჯვებულიც ის იქნება.



## ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა


ს. შამფრიანი — ჭოპორტელები (ნარკვევი) . . . 1

ქ. ტაბატაძე — უკვდავება (მოთხრობა. დასასრული) 4.

მ. ჯგუბურია — სამი ლექსი . . 10

ს. ნაჯაფოვა — სუმგაითი (ნარკვევი) 11

ე. ჯაფარლი — ბილიკები (ლექსი) 14

ნ. ხაზრი — სამშობლო (ლექსი) . 14

ხ. ჰასილოვა — ზღვის ვარსკვლავები (მოთხრობა) . . 16

ს. ნარიმანოვი — თელა (ჩანახატი) . 19

გ. კაჭახიძე — საქართველო გვიყვარდეს (ლექსი) . 20

ე. კვიტაიშვილი — იმრავლე და იჯანმრთელე (ლექსი) . . . 20

ქ. კვინტრაძე — შინ მოუსვლელის დედა (ლექსი) . 21

თ. პატურაშვილი — არაკები . . 21

ჯ. ნადირაძე — მოდინახე (წერილი) 23

ჰ. ანდერსენი — გვირილა (ზღაპარი) 25

ბუნების კარი 25

რ. ელანიძე — ბუერით მოტანილი წყალი (მოთხრობა) . . 27

გ. ჯინჯოლია — ტივი (მოთხრობა) . 28

ახალი წიგნები . . . 29

თამაში წყალში . . . 30

ჯადოსნური სარკე . . . 31

გამოცანები 32

ცხრაკლიტული — გარეკ. . . 3



ზამთრობით გასაღების ჭუჭრუტანაში შემთხვევით მოხვედრილი წყალი ან თოვლი იყინება და გასაღებს ვერასგზით ველარ მოარგებ ხოლმე. გასაღები ასანთის ალზე გააზურე და ჭუჭრუტანაში ისე შეყავი. ყინული წამში გადნება და გასაღები თავისუფლად ამოქმედდება.



აქ გამოხატული ოჩხას გაკეთება იოლია. მავთულის კალათას პენოპლასტის სახურავი გაუკეთე, თევზის ჩასაშვებად სახურავი შუაზე მრგვლად ამოჭერი. მსუბუქი სახუ-

რავის წყალობით ოჩხი გამუდმებით ირწევა, თევზი მოძრავ წყალში იქნება და კარგად შეინახება.



მოპრიალებული პარკეტის იატაკზე პატარას კი არა, ხშირად დიდებსაც უსხლტებათ ფეხი. მიაწებე ფეხსაცმლის ლანჩას რეზინის ორი ნაჭერი და ფეხი აღარ გაგისრიალდება.



კბილის საწმენდი პასტის ტუბი რომ დაიცლება, ნუ იჩქარებ სანაგვე ყუთში მის გადაგდებას. მონდომებულ კაცს მისი გამოყენება ისევ შეუძლია. აი როგორ: გაუხსენი ტუბს ბოლო, შეყავი ფანქარი, კარგად გატკიცე, გაასწორე და ჩა-



ასხი შიგ ზეთი, სალებავი, წებო... (ერთი სიტყვით, ისეთი სითხე, რომელსაც სისტემატურად ხმარობ). ცსკერი ისევე დაუხვიე, როგორც იყო, თავზე თავსახური მოარგე და ტუბი კიდევ დიდხანს გემსახურება.



ცელხრახნიან ქურქელს სახურავი ისე ჩააკვდება ხოლმე, რომ ვერასგზით ვერ მოხრახნი. ხის სახელურს ტყავის ქამარი მიაჭედე, სახურავს ირგვლივ შემოახვიე და იგი იოლად მოიხსნება.

სიარულისას, ფოტოაპარატის თასმა არასგზით არ ჩერდება მხარზე, როგორც არ უნდა

გადაიკიდო, მაინც ჩამოცურდება ხოლმე. თასმის შიდა [illegible] ვი რეზინი[illegible]




ლე გაშრობა და „ბოლონიის“ ან ნეილონის ტანსაცმელიც კი რომ გეცვას, თასმა მაინც მტკიცედ მოჯდება მხარზე.



ბურღით მაგარი ხის გაბურღვა გაცილებით გაგიადვილდება, თუ ბურღის პირს მინერალურ ზეთს დააწვეთებ.

გარეკანის 1-ელ გვერდზე — „თონესთან“. მხატვარი ედუარდ ამბოკაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/V-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI-70 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 1572 ტირ. 123.800. უე 02109.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 2. საბჭოთა კოსმოსური ავტომატური სადგური: 5. გრილი ქარი; 6. ქართველი საბავშვო მწერლის სახელი; 9. მდინარე სსრ კ-ში; 12. ქალაქი ნორვეგიაში; 13. ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე; 14. საღებავი; 15. საბჭოთა მოჭადრაკე; 16. მომღერლის პარტია, ანუ...; 19. გმირი ქალაქი; 20. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე; 22. ქალაქი ჩრდილოეთ ნორვეგიაში; 23. ძვირფასი ქვა; 24. სახელმწიფო; 25. ქალაქი სსრ კ-ში; 27. ტბა აზიაში; 28. მუსიკალური ნოტი; 29. მცენარე; 30. საუკუნე, დრო, ანუ?

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი; 3. სახელმწიფო; 4. კოსმონავტი; 7. სახელმწიფო; 8. გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელი; 10. ესპანეთის სახალხო გმირი; 11. სახელმწიფო აფრიკაში; 17. ქართველი ხალხის გმირი; 18. სახელმწიფო აზიაში. 21. ახალგაზრდული ორგანიზაცია; 26 ქალაქი საბერძნეთში; 27. ქალაქი სამხრეთ ამერიკაში.




ჯულიეტა ლორია,
ქ. ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლის,
IX კლასის მოსწავლე.

## ხელის აუღებლად

დახაზე ეს ფიგურა ქაღალდიდან ხელის აუღებლად ისე, რომ ერთ ხაზზე ფანქარი ორჯერ არ გაატარო.



## პასუხები № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### თავსატეხი

„სამშობლოს არვის
წავართმევთ.
ჩვენც ნურვინ
შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს
დავაყრით
მკვდარსაც კი
გაეცინება!"

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. ირემი; 2. ოხრახუში; 3. ატამი; 6. დანია; 7. თოლია; 9. ბულბული; 11. რაინი; 12. იანძი; 16. ალმა-ატა; 17. ამუდარია; 18. ოფოფი: 20. გველი; 21. არმია; 23. ირისი.

**ჰორიზონტალურად:** 1. ისტორია; 4. ივლისი; 5. ტანკი; 8. აშორა; 9. ბალბა; 10. ისკრა; 13. ირანი; 14. ნორვეგია; 15. ბელგრადი; 18. ობობა; 20. გნოლი; 22. ისრაელი.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 87 | 44 | 7 | 60 | 47 | 20 | | |
| | 43 | 6 | 59 | 46 | 19 | 8 | 29 | 22 | |
| 5 | 86 | 45 | 18 | 61 | 58 | 21 | 48 | 9 | 30 |
| 42 | 17 | 84 | 81 | | 71 | 62 | 57 | 28 | 23 |
| 85 | 4 | 75 | 70 | 83 | 80 | 49 | 66 | 31 | 10 |
| 16 | 41 | 82 | 77 | 72 | 65 | 56 | 63 | 24 | 27 |
| 3 | 76 | 69 | 74 | 79 | 50 | 67 | 26 | 11 | 32 |
| 40 | 15 | 78 | 37 | 68 | 73 | 64 | 55 | 52 | 25 |
| | 2 | 39 | 14 | 35 | 54 | 51 | 12 | 33 | |
| | | 36 | 1 | 38 | 13 | 34 | 53 | | |

### დაწყვეტილი ძეწკვი





### თავსატეხი

აიღეთ № 1 ღერო, დადეთ № 2 და № 8 ღეროების ბოლოებზე. აიღეთ № 9 ღერო და ამ ღეროთი გააგრძელეთ № 4 და № 8 ღეროების გადაკვეთის წერტილი. დაბოლოს აიღეთ № 5 ღერო და დადეთ № 10 ღეროს ბოლოზე.

6 92/145

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა





მხატვარი
ავთანდილ
გოჩაშვილი





— შენ რომ ორიანი არ მიგეღო,
მე უგინაოდ არ დავრჩებოდი.

